№ 2794
კვირა
10 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 2794
კვირა
10 აპრილი

ხელის-მოწერის ფასი: წელიწადში—[illegible] თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

წელიწადი — სანატორიუმი — მეორე
4400 ფუტის სიმაღლე.
საზაფხულო სამყოფი
15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე.
✦ ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა ✦
პატარა-ცემში, ბაკურიანის რკინის გზაზედ.

მიიღებიან ქალ-ვაჟნი 8—16 წლამდე: სისხლნაკლებნი, დასუსტებულნი, მოქანცულნი, ნაავადმყოფარნი, მადა-დაკარგულნი, ქაობის ციებით შეპყრობილნი და საერთოდ ვისაც ესაჭიროება მოღონიერება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის ჰაერი, ფიჭვნარი, დასვენება, უხვი საზრდო, გასართობი და სამკურნალო ვარჯიშობა, წყლით ექიმობა შეფარდებული თითოეულ ბავშვის აგებულობასთან.

დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება პირადად ანუ წერილობით ექიმ ვ. ღამბაშიძესთან. ტფილისი, ნიკოლოზის ქ., № 46, 4—5 საათამდე კვირა დღის გარდა. (0—4):

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუდარებლად. (0—2)

სავაჭრო სახლი
ა. ვ. გაიდამაკინისა და ამხ.-სა.

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ შევიძინეთ მთელი საქონელი ამიერ-კავკასიის საწყობებისა, რომელიც ეკუთვნოდა შემდეგ ქაღალდის ქარხნების ადმინისტრაციას: ქაღალდის ქარხანას გ. ი. პალლიზენს და კომპ., რჟევის ქაღალდის ქარხნის ამხანაგობას და კოშელევის ქარხნების სააქციონერო საზოგადოებას.

გარდა ამისა ჩვენი სავაჭრო სახლი წარმომადგენელია ფინლიანდიის საუკეთესო ქარხნებისა, რომელნიც ეკუთვნიან სააქციონერო საზოგადოებას კიუმმენეს, კუზანკოსკისა და ვოიკისას, სადაც მზადდება ყოველ წელს სხვა-და-სხვა ხარისხის ქაღალდები. ფოსტის, საწერი, სასტამბო, საალბომო და სხვა, ექვს მილიონ მანეთზე მეტად ღირებული; აგრეთვე რუსეთის ქარხნების—სოლოვიევისა და კროტოვის გორბატის ქაღალდის ქარხანათა ამხანაგობისა, სადაც მზადდება უმაღლესი ხარისხის ფოსტის, საწერი და სხვა ქაღალდი, და ნ. ნ. ბრაკერის ქარხნისა, სადაც მზადდება სახვევი ქაღალდები და პარკები.

ვურჩევ რა შეიძინონ ზემო აღნიშნულ ქარხნების ქაღალდი, ვსთხოვ პატივცემულ საზოგადოებას ყურადღება მიაქციოს ჩვენ სავაჭრო სახლს, კეთილ ინებოს და დაგვიკვეთოს საქონელი. თვითეულ დაკვეთას ავასრულებთ ბეჯითად და კეთილ-სინიდისიერად. გოლოვინის პროსპექტი, მანთაშევის სახლი. (10—1)

ქუთაისში
გახსნილია
იაფი ვაჭრობა
ყოველ გვარ საწერ და საკანცელარიო ნივთებისა
სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილები
(10—5კ—8)

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისთვის
დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად და სხვა პოემები და ლექსები
დ. გაბრუაშვილისა
გამოცემა „გუთნისა", ფასი 60 კაპ.
ვინც ნაღდზე იყიდის 20 ცალს, მანეთზე 40 კაპ. დაეთმობა. მსურველთ მიმართონ „ქ. შ. წ. კ. ს." და იოსებ იმედაშვილის წიგნის მაღაზიებს. (6—165—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.
ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. ლაყბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ძ. მ. მაჭავარიანი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
ვ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ექ. ქალი ე. ძ. იოსელიანი.—ქალისა და საშვილოსნო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ძ. ჩ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^1/_2$ $1^1/_2$ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.
საღამოს:
ს. ი. მაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ავადმყოფთათვის აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ორის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.
[illegible]: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ქ. ბათუმში
[illegible]იმი ა. გ. მაღალაშვილი
შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავად-[illegible]ველ დღე დილის 9—10 საათამდის.
[illegible]ა და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში ბანკის სახლი. (60—408—51)

ექიმი
ნ. დიასამიძე
[illegible]ადმყოფებს: სიფილისის, კა[illegible]ის და ვე-[illegible]ველ დღე დილის 9—11-მდე და საღა-[illegible] გარდა კვირ.ის საღამოსი. ლორის-[illegible]პარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილ.ის პირდაპირ № 18. (60—28—54)

[illegible]ავშვების ექიმი
[illegible] ბალარჯიშვილი
[illegible]ელ.ის ბავშვთა სნეულებათა კლინი-[illegible]ი იღებს ავადმყოფებს მხო-[illegible] ყოველ დღე 11—12 წ.
[illegible] 115. ნემცების ეკლესიის გვერ-[illegible]
(80—91—23)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
[illegible]: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდი-[illegible] № 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახ-[illegible] ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7, კვირა-უქმით 10—1-მდე!.

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით (30—278—12

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ № 545 ტელეფონი № 825. (90 296—22).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.
8 აპრილი

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა ხელმწიფის სახელზე, ამა წლის 7 აპრილის თარიღით: „ჯარებში ცვლილება არაა".

ვაშინგტონი. ჰფიქრობენ, ვაშინგტონის მთავრობა იგულისხმებს მხოლოდ იაპონიის ცნობას საფრანგეთისაგან ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებო, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სწამთ, რომ მდგომარეობა ძლიერ სერიოზულია და შეიძლება მას საფრთხე რამ მოჰყვესო.

პარიზი, 8 აპრილი. პალატის კარიდორებში ხმა დაჰყარეს, ჩქარა მომავალში აუცილებელი ბრძოლა უნდა მოხდეს ორივე ესკადრას შორის ზღვაზეო. ზოგ-ერთი დეპუტატი ამბობს, ბრძოლა თუ ინდოეთ-ჩინეთის წყლებში მოხდა, მაშინ საფრანგეთთან კონფლიქტი მოხდებაო.

მინსკი. კომერციულ სასწავლებლის ინსპექტორ სამოილოს ნება დაერთო აგვისტოში მინსკში 7-კლასიანი საქალებო კომერციული სასწავლებელი [illegible] იმავე უფლებებით, რა უფლე-[illegible]ც მარიამის უწყების [illegible]ქალე-[illegible] აქვს.—სასულიერო [illegible]ნების მსურველთა საზოგადოებამ [illegible] ადრესი [illegible].

ბერლინი. მტკიცდება ის ხმა, [illegible] გერმანიას მოლაპარაკება დაეწყოს [illegible] სა-[illegible]კრუჟ.ბის შესახებ.

[illegible], 8 აპრილი. მის [illegible] ზა-[illegible]ტაში აკურთხეს სახ[illegible]-[illegible]ანდრიტი სერათმე, [illegible] რდიის ჰოლკოვნიკი, ლეონიდ ჩიჩაგოვი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია რუსეთ-ოსმალეთის ომში. სააპრილო ვაკაციების დროს, მოსკოვში მოხდება საშუალო და დაბალ სასწავლებლების მასწავლებელთა კრება, რომელზედაც უნდა დაარსდეს სრულიად რუსეთის პედაგოგიური კავშირი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
8 აპრილი

პარიზი. საზღვაო წრეები უსაფუძვლოდ სთვლიან იმ ხმებს, ვითომც საფრანგეთს ნეიტრალიტეტი დაერღვიოს. საფრანგეთის წესების ძალით არაა განსაზღვრული, რამდენს ხანს უნდა დარჩნენ ნეიტრალურ პორტებში მეომართა გემები. როჟესტვენსკი, ალბად, სამს მილზე ახლოს არ მისულა ნაპირთან; ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ გამვლელი გემები ვერ დაინახავდნენ რუსის ფლოტს. კამრანის შინაგანი პორტი დახურულია. საფრანგეთის მთავრობას არა ჰსურს უკმაყოფილება მოუვიდეს იაპონიასთან და ამიტომ საჭირო ზომებს იღებს. ოფიციალურად ირღვევა ცნობა, რომელიც ლონდონელმა კორესპონდენტმა გამოუგზავნა „პტი ჟურნალ"-ს, ვითომც ინგლისს ნოტა გაეგზავნოს საფრანგეთის მთავრობისათვის იაპონიის მოთხოვნით. „პეტ. სააგ."-ის კორესპონდენტმა გაიგო სარწმუნო წყაროებიდან, საფრანგეთის მთავრობამ ტელეგრაფით გადასცა ნეიტრალიტეტის შესახები ინსტრუქციები ინდოეთ-ჩინეთის გუბერნატორს, იმავ დროს რუსეთსაც შეატყობინა ეს ამბავი და იაპონიის ელჩსაცაო. მინისტრთა საბჭო შუადღის ორ საათზე შეიკრიბა. პალატაში ხმები დადიოდა, დელკასე თავს ანებებს სამსახურსაო. „მატენ"-ის კორესპონდენტი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია მიშჩენკოს თარეშში, ტელეგრაფით იუწყება, რუსის კავალერიამ ყველგან აჯობა იაპონიისასაო. რუსები პოულობდნენ იაპონელთაგან დაჰხეულ ფურცლებს, რომლებში აწერილი იყო რუსეთის შინაური ამბები.

პორტ-ლუი, 8 აპრილი (დილით მეილი). „ჟულიეტა"-ს უფროსი უარ-ჰყოფს იმას, ვითომც გემზე კონტრაბანდი ყოფილიყოს. „ჟულიეტა"-ს მეზღვაურნი კი დაბეჯითებით ამბობენ, გემს კონტრაბანდი კამრანის ბუხტაში მიაქვსო.

სუმი. 8 აპრილი. საბჭოს გადაწყვეტილებით კვირა-უქმე დღეებში 15 წუთით შეიძლება მხოლოდ ვაჭრობა.

ვორონეჟი, 8 აპრილი. კოროტოიაკის მაზრაში, სოფ. მასტეუჟეში, გლეხებმა შემამულეთა 30 დესიატინა მიწა მოხნეს. გუშინ წავიდა იქითკენ გუბერნატორი. გაგზავნეს ჯარები.

პეტერბურგი, 8 აპრილი. სენატმა დაამტკიცა ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი ყველა იმ სომხების შესახებ, ბარსამოვის გარდა, რომელთაც მთავრობისათვის წინააღმდეგობის გაწევა ბრალდებოდათ სომხების საეკლესიო მამულების სახაზინოთ ჩარიცხვის დროს; ბარსამოვის შესახებ განაჩენი შესცვალა სენატმა და დაადგინა, ხელ-ახლა გამოიკვლიოს ამავე პალატამ საქმე.

სტამბოლი, 8 აპრილი. საფრანგეთის საელჩომ ოფიციალურად გამოაცხადა ოსმალეთისაგან საფრანგეთში სესხის შოვნა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსისა და იაპონიის ფლოტის მოქმედება. ჯერ ბრძოლა არა ყოფილა და ადმ. როჟესტვენსკიმ ეხლავე მთელი ქვეყნიერობა აალაპარაკა. ოქტომბერში კინაღამ ინგლისი არ გადაეკიდა რუსეთს, ეხლა ლამის იაპონია გადაეკიდოს საფრანგეთს. რუსის ესკადრა კამრანის ბუხტაში დადგა და, როგორც ირწმუნებოდნენ, რამდენსამე კვირას აპირობდა იქ დგომას. ალბად, რუსის ადმირალი კონტრადმირალ ნებოგატოვის ესკადრას ელოდა, ქვა-ნახშირს უდებდა, დაზიანებულ გემებს აკეთებდა და ხანგრძლივ სიარულისაგან დაღალულ მეზღვაურებს ასვენებდა, ამას გარდა, როგორც მოსწრებულად შენიშნავს „ტაიმს"-ი, იქნება რუსის ადმირალი განგებაც დადგა კამრანის ბუხტაში იმ განზრახვით, რომ ადმ. ტოგოს თავისი პორტები მიეტოვებინა ჩრდილოეთში, სამხრეთისაკენ წამოსულიყო და რუსის გემებს, თუ ვინიცობა დამარცხდებოდნენ, თავი შეეფარებინათ საფრანგეთის პორტებში. კამრანის ბუხტა საფრანგეთის კოლონია ანამში მდებარეობს, საიგონიდან დაახლოვებით 300 ვერსტზე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ამაზე, როგორც ვიცით, იაპონიამ ბეჯითი პროტესტი გამოუცხადა საფრანგეთს, იაპონიის ელჩი მოტონო პარიზში გარეშე საქმეთა მინისტრს დელკასეს მოელაპარაკა ამ [illegible] საფრანგე[illegible] მთავრობამ [illegible] იაპონიის პროტესტს და ანამის გუბერნატორს შესაფერისი ბრძანება გაუგზავნა. რუსის ესკადრა, ეტყობა, გავიდა კიდევაც კამრანის ბუხტიდან. გზად გამოვლილ გემებს რუსის ესკადრა აღარ უნახავთ კამრანის ბუხტაში. თუ რუსის ესკადრა მართლა გავიდა კამრანის ბუხტიდან, უნდა ველოდოთ, რომ მალე შეჰხვდება ადმ. ტოგოს ესკადრას. პარიზში ცნობა მიუღიათ, იაპონიისა და რუსის ფლოტს მალე აუცილებლად ბრძოლა მოუხდებათო.

ვინ გაიმარჯვებს? მთელი ქვეყნიერობა დიდის ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს რუსისა და იაპონიის ფლოტის მოქმედებას; უცხოელი მეზღვაურები და სამხედრო მიმომხილველები ეხლავე ცდილობენ გამოცნობას, ვინ გაიმარჯვებს მომავალ საზღვაო ბრძოლაში—ადმ. ტოგო, თუ ადმ. როჟესტვენსკი.

ინგლისელ ადმირალ ჯონ კოლომბს უთქვამს ერთის ინგლისურ გაზეთის თანამშრომლისათვის: მეტად ცოტა ცნობა მაქვს რუსისა და იაპონიის ფლოტზე, ამიტომ ძნელია რისამე ბეჯითად თქმა. ცხადი მხოლოდ ერთი რამაა: თუ კი ერთი სალ[illegible] ასწრეს და რუსის გემებს ზარბაზანი დაუშინეს, იაპონელები თავს აღარ გაანებებენ რუსის ესკადრას, სანამ სულ არ გაანადგურებენ. შეუძლებლად მიმაჩნია, რომ რუსის ესკადრა შეუნიშნავად ხელიდან გაუსხლტეს იაპონელებს. იაპონელ ადმირალს თამამად შეუძლიან ბრძოლის დრო და ადგილი თავის ნებაზე შეურჩიოს? მგონია, იაპონელები ისე გაანადგურებენ რუსის ესკადრას, როგორც უწინ ინგლისელებმა ესპანიის განთქმული რიცხვ-მრავალი ფლოტი გაანადგურეს. მეტად საინტერესო წამია, უსათუოდ უნდა გვახსოვდეს, რომ ბრძოლის დროს დიდი მნიშვნელობა ექნება მეზღვაურების თვისებას უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რუსეთის მთავრობას დიდი იმედი აქვს, რომ ამ შავბედით ესკადრის მოხებით სამხედრო ბედი უსათუოდ გაუღიმებს რუსეთსაო. შეიძლება, ადმ. როჟესტვენსკისაც ჰქონდეს ეს იმედი. ან იქნება რუსის ადმირალი მხოლოდ მიღებულ ბძანების თანახმად მიდიოდეს სასიკვდილოდაო. („ნ.").

გერმანულ გაზ. „კრეუც ცაიტუნგ"-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: იაპონიისა და რუსის ფლოტს თითქმის თანასწორი ძალა აქვთ. რუსებს მეტი ჯავშნიანი გემი ჰყავთ და მეტი დიდი ზარბაზანი აქვთ, სამაგიეროდ იაპონელებს მეტი კრეისერი და ნაღმიანი გემი ჰყავთ, ამას გარდა იაპონიის ფლოტი უფრო სწრაფლ-მავალი და ერთგვარია; იაპონელი მეზღვაურები მშვენივრად გამოიცადნენ ამ ომის დროს, რუსის მეზღვაურები-კი, როგორც თითონ ადმ. როჟესტვენსკიმ აღიარა, რიგზე მომზადებულნი არ არიან, ამიტომ, ჩვენის აზრით, რუსის ადმირალი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს, თუ არა ჩვეულებრივი სამხედრო ნიჭი და ასეთივე არა ჩვეულებრივი ბედი აქვსო. („ო. ნ.").

„ნ. ფრ. პრეს"-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: შეიძლება რუსის ადმირალი ბრძოლას მოერიდოს და ვლადივოსტოკისაკენ წავიდეს. ადმ. ტოგო ეცდება, რაც შეიძლება, იაპონიის ახლო შეებრძოლოს რუსის ფლოტს. ამიტომ იქნება ბრძოლა ფორმოზასა და იაპონიის ნაპირებს ახლოკი არა, სადმე ვლადივოსტოკს ახლო მოხდეს. რით გათავდება ეს ბრძოლა, ამის თქმა გადაჭრით არავის შეუძლიან. უმეტესობა ჰფიქრობს, იაპონიის ფლოტს დიდი უპირატესობა აქვსო: იაპონელი მეზღვაურები უფრო კარგად არიან მომზადებულნი და დიდი გამოცდილება აქვთ, იმათი გემები ეხლახან შეაკეთეს და რიგზე დაამზადეს ბრძოლისათვის. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ბრძოლის დროს, მეტადრე საღვაო ბრძოლის დროს, ხანდახან მოულოდნელ შემთხვევას აქვს ხოლმე დიდი მნიშვნელობა; ორიოდე წამში საქმე სულ სხვანაირად დატრიალდება ხოლმე. თეორეტიულად ადმ. ტოგომ უნდა გაიმარჯვოს, მაგრამ ვინ გაიმარჯვებს [illegible]ლად, ამას მხოლოდ მომავალი გამოაჩენს. („ო. ნ.").

გენ. დრაგომიროვის აზრი ომის გაგრძელებაზე. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება,— გენ. დრაგომიროვმა შემდეგი აზრი გამოსთქვა ომის გაგრძელებაზედ: „თუ შინაგან საქმეთა მინისტრი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ სათადარიგო ჯარის კაცების მომავალი მობილიზაცია არეულობას არ გამოიწვევს და [illegible]რიგად ჩაივლის, თუ [illegible] საქმეთა მი-[illegible], რომ დასავ[illegible] საზღვრიდან და შუა აზიიდან ჯარის წაყვანას სხვა სახელმწიფოებთან ომი არ მოჰყვება, თუ ფინანსთა მინისტრს შეუძლიან, სიმართლეს არ უღალატოს და დაამტკიცოს, რომ საკმაო ფული გვაქვს, მაშინ რუსეთმა ახალი არმია—მილიონი სალდათი—უნდა გაგზავნოს მანჯურიაში, ციმბირის რკინის გზაზე მეორე ლიანდაგი დააგოს და კიდევ სამ-ოთხ წელიწადს იომოს. მხოლოდ ამ პირობით შემიძლიან იმისი თქმა, რომ რუსეთი გამარჯვებით დაასრულებს ომსაო". („ნ. დ.").

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში პირველ გვერდზე მე-5 სვეტზე დაბეჭდილია: „მარშალ ოიამას მუკდენისაკენ გალაშქრება ფიქრადაც არ მოსვლია". უნდა იყოს: „მარშალ ოიამას ხარბინისაკენ" და სხ..

ფარდა აიხადა

როცა ზღვა ღელავს, თავის ნაძირალს მოიქცევს ხოლმე ზვირთების ქედზე და ულმობელად ერეკება ნაპირისაკენ. საშინელი და დიდებულია მაშინ ზღვა. შავი ღრუბლები სქლად ედებიან ზღვის არე-მარეს. გმინავს ზღვა და თავის ქაფს შეუბრალებლად ანარცხებს კლდოვან ნაპირებს, რომ, თუ სამუდამოდ არა, დიდის ხნით მაინც განიბანოს და გაიწმინდოს უწმინდურებისაგან. დაჰბერავს ქარი, გაჰფანტავს ღრუბლებს; მზის მოელვარე სხივები უხვად მოეფინება ზღვას. ზღვაც დაწყნარდება.

საამოა მაშინ იმისი ნახვა: განწმენდილი, განსპეტაკებული ბუნების დიდებული სტიქიონი უმანკოა, ვით ძუძუს მწოვარი, და ხალისიანი, ვით პირველი კოცნა. ვინ მოიგონებს და ან ვინ უსაყვედურებს მას, რომ ქაფთან ერთად მან გამორიყა უდანაშაულო გემის დამტვრეული ნაწილები? ხალხიც ღელავს. ნაძირალიც ამოტივტივდა, ზვირთებში ცურავს. უკვე ნაპირზე გამორიყული ბევრი რამ გდია. ჩვენც იძულებულნი ვართ ნარიყალი ანალიზის თვალით შევხედოთ და გამოუდეგარს გამოსადეგი არ გავაყოლოთ. ხალხის ღელვა ქარჩვეული თავად-აზნაურობა ორ ბანაკად გაჰყო: ერთი ნაწილი სიამოვნებით მიეგება ხალხის გამოღვიძებას და უშიშრად გაუწოდა ხელი. მეორე ნაწილი წინააღუდგა ხალხს და მის თანამოაზრეთ და სამარცხვინო ომი გამოუცხადა. რამ გამოიწვია ეს განხეთქილება? რასაკვირველია, ეკონომიურმა სხვადასხვაობამ, მაგრამ რომ უფრო ნათლად გავითვალისწინოთ განხეთქილების საბუთი და შედეგი, უნდა გავიგოთ, ვინ რას თხოულობს და რა საშუალებით იბრძვის თავის ინტერესებისათვის.

ხალხი და მასთან ერთად შეგნებული ნაწილი ჩვენის სხვა წოდებებისა თხოულობენ თავისუფლებას. რას თხოულობს მოპირდაპირე ბანაკი? მათრახს, შტიკს, ყაზახ-რუსებს. ხალხი და მისი თანამოაზრენი ბრძოლაში ხმარობენ საშუალებად ჯერ-ჯერობით გაბედულ სიტყვას და თვის სურვილის დაუფარავად გამოცხადებას. მოპირდაპირე ბანაკი? უსახელო წერილებს, კერძო პირებისადმი მიმართულს, შეზავებულს ურცხვის გინებით და უკბილო მუქარით... ხალხი ჰპოვებს ძალას თავის შეურყეველ რწმენაში, რომ იგი მართალია, რომ იგი, ტანჯული, ღირსია თავისუფლებისა. მოპირდაპირე ბანაკი? ძალას ქძებს უსაბუთო გაბრაზებაში, რომელმაც იჩინა თავი ზუგდიდის თავად-აზნაურთა კრებაზე და სხვაგანაც. სირცხვილი, სამუდამო სირცხვილი იმ კრებას, სადაც დაუსჯელად შეუძლიანთ ლაპარაკი, რომ „გლეხს დღეს არავითარი გაჭირვება არ ადგია; იგი ცხოვრობს სრულს კმაყოფილებაში და, სამწუხაროდ, ვერ შეუგნია თავისი ბედნიერი მდგომარეობა, აჭყლდა ფეხის ხმას და დასდგომია საზიზღარ გზას. მისი მდგომარეობა კარგია და უკეთესი იყო წარსულში (როდის? ბატონყმობის დროს ხომ არა?). უნდა ვიტირ[illegible]თ და დაჩოქით მოვიხსენიოთ ის თავად-აზნაურები, რომელთაც გლეხებს შეჰფიცეს ნდობა და ერთობა. როდესაც დაიწყება ერთის თავადის ან აზნაურის ოჯახი, უნდა დაიწვას ასი გლეხის ოჯახი! როდესაც მოკლულ იქნება ერთი ჩვენთაგანი, უნდა მოიკლას ათასი გლეხი! მათი დამშვიდება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც აქ იჭექს-იგრიალებს თოფ-ზარბაზანი".

ნუ თუ ჩვენს ბრწყინვალე თავად-აზნაურობას იქამდისინ მოაკლდა თავის მოყვარეობა, რომ ამ სიტყვ[illegible] მთქმელს კლავაც იგულისხმებს [illegible]ლიგ ოჯახის წევრად ხელს გაუწვდიან არამცთუ [illegible]კრავენ მის ხელს სამარცხვილი მდგომარ[illegible] ნუ თუ მ[illegible] ჩვენი საზოგადოებით, ვე[illegible]მოდ მოყ[illegible] მოსაზრებან შრომით სხვანი [illegible]ლა ზ[illegible] [illegible]ულის [illegible]

დიახ, არიან ჩვენში თოფ-ზარბაზნის მოტრფიალენი, არიან ჩვენში ყაზახ-რუსების თაყვანის-მცემელნი, მოძმის სისხლის მოწყურებულნი. ფარდა აიხადა, და ტალღების მიერ გამოტანილი ნარიყალიც გამოჩნდა. მაგრამ ხალხის მღელვარებასაც მოელება ბოლო, მხოლოდ იმ გზით კი არა, რა გზითაც ნარიყალსა სურს. გაზაფხული თავისას გაიტანს და განსპეტაკებული საზოგადოებრივი აზრი თვის მსჯავრს დასდებს ნარიყალსა. და მაშინ vae victis.

ვ. მუსხელიშვილი.

საქალაქო პირველ-დაწყებითი სკოლა.

რომ დღეს საქალაქო სკოლა უკუღმართად არის მოწყობილი, ეს ყველასათვის ცხადია, რასაკვირველია, გარდა იმათისა, ვინც ეს უკუღმართობა შექნა და მითი სარგებლობს. უკუღმართობას ორი მთავარი სარჩული აქვს; ერთი ის, რომ ქალაქის ხარჯით დაარსებული და ქალაქის ხარჯითვე მოვლილი სკოლა გარეშე პირების ხელშია, თვით-მმართველობას ხმა არა აქვს სასკოლო საქმეში, ყველაფერი ბიუროკრატიას, ამ შემთხვევაში, სახალხო სკოლების დირექციას ეკითხება.

მეორეც ის, რომ საქალაქო სკოლებში, ისე როგორც სხვა სკოლებშიაც, პედაგოგიის მაგიერ ნამდვილი პოლიტიკანობაა გამეფებული: ჩვილ ბავშვებს ყველა საგნებს გაუგებარ ენაზე ასწავლიან, გონებასა და ტვინს უმახინჯებენ; სამშობლო ენის სწავლებას კი ისეთი ადგილი უკავია, რომ ეს უფრო დამცირება და მასხარად აგდებაა მკვიდრთა, ვიდრე მათ კანონიერ მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თვით-მმართველობა და საზოგადოებრივი აზრი დიდი ხანია უკმაყოფილებას აცხადებდა გამეფებულ უკუღმართობის გამო. არ ისმოდა მხოლოდ თვით ამ სკოლის მასწავლებლების ხმა, ე. ი. იმათი ხმა, ვინც უფრო ახლო ჰხედავს საქმის სიდუხჭირეს, პირდაპირ გრძნობს ამ სიდუხჭირის განუზომელ მავნებლობას მოზარდ თაობისათვის. მასწავლებლები ღრმად ჩაეთრია სასკოლო ბიუროკრატიას თავის ჭაობში და იქიდან არ ისმოდა ერთი ცოცხალი ხმაც კი. პედაგოგები შერიგებოდნენ ნამდვილ პედაგოგიის უარ-მყოფელ პრინციპებს, და სდუმდნენ; არა თუ უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ ახალთაობის გამრყვნელ წესს, გულ-მოდგინედაც ემსახურებოდნენ მის განხორციელებას, რომ მადლობა და ქება დაემსახურებინათ უფროსებისაგან.

[illegible] მართავთ და მსჯელობა ჰქონიათ საქალაქო სკოლის ეხლანდელ მდგომარეობაზე.

სამწუხაროდ, ზოგი მასწავლებელი ისე მოუშხამავს ჭაობში დიდ ხანს ყოფნას, ისე გაქელენთილა ამ ჭაობის მიაზმებით, რომ დღესაც, ამ განახლების ხანაში, უკუღმართ გზას არ შორდებიან.

დირექციისაგან საუკეთესო და უნიჭიერესს პედაგოგებად მიჩნეული „პედაგოგები" ფეხით სთელავენ ელემენტალურ პედაგოგიურ პრინციპს და ყოველ ღონეს ღონობენ ხელი შეუშალონ ამხანაგებს საკეთილო საქმეში. ამათის მეცადინეობის მეოხებით განხეთქილება ჩამოვარდა მასწავლებლებ შორის. უფრო სამწუხარო კიდევ ის არის, რომ რუსის ტომის ამ თავისებურ პატრიოტებს მხარი მისცეს ზოგ სომეხ მასწავლებლებმაც.

მიუხედავად ყველა ამისა, მაინც მოახერხეს სასურველ რეზოლიუციის შედგენა ქალაქის თვით-მმართველობისათვის წარსადგენად. დაახლოვებით ეს რეზოლიუცია შემდეგია:

1. მასწავლებელნი უერთდებიან ქალაქის მიერ აღძრულ შუამდგომლობას, რომ საქალაქო სკოლები თვითმმართველობის სრულ განკარგულებაში გადავიდეს; 2. სწავლა უნდა იქნეს საყოველთაო და სავალდებულო; 3. სკოლაში სწავლება უნდა სწარმოებდეს მოსწავლეთა სამშობლო ენაზე; 4. პირველ-დაწყებით სკოლის პროგრამა უნდა იქნეს შეთანხმებული საშუალო სკოლის პროგრამასთან; 5. უნდა დაარსდეს საგანგებო სკოლები ნაკლებ ნიჭიერებისათვის; 6. ნორმალური რიცხვი გაკვეთილებისა არ უნდა აღემატებოდეს 20-ს მასწავლებლისათვის, 12-ს სკოლის გამგისათვის.

არის კიდევ ერთი საყურადღებო მუხლი მასწავლებლების რეზოლიუციაში—საქალაქო სკოლის ყველა მასწავლებელნი შეადგენენ კორპორაცას შესაფერის უფლება-მოვალეობით, ე. ი. მიღება თუ გაგდება კორპორაციის რომელიმე წევრისა შესაძლებელი უნდა იქნეს მხოლოდ კორპორაციის თანხმობით, აგრეთვე სკოლის გამგის არჩევანიც. მოთხოვნა ყოვლად სამართლიანია და სასკოლო საქმისათვის დიდად სასარგებლო

ერთის სიტყვით, მასწავლებლების ეს რეზოლიუცია იმდენად ელემენტალურ-სამართლიანი და პედაგოგიურია, რომ ვინც მისი წინააღმდეგია, პედაგოგიასთან არავითარი კავშირი არა აქვს, და ამათ შესახებ სკოლების გამგე კომისიის ცნობილი დადგენილება („სტაროსტების" გაუფროსების შესახებ სასკოლო სადგომში) ყოვლად საფუძვლიანი იქნება.

ახალი ამბავი

◆ როგორც „სინ. ოტ". გა[illegible]ცემს, შინაგან საქმეთა მინისტრს, [illegible] **ძალიან ცივად მიუღია ტფ**[illegible] და განჯის დეპუტა[illegible]ებს უთხოვნიათ, ცალ[illegible] კავკასიელთათვის, მ[illegible] არ შეუწყნარებია [illegible] მიუღია **საერთო** მიღების [illegible]. ამასთან ყველა ქალა[illegible] ცალკე მიუღია და [illegible] ულაპარაკნია. მი[illegible], ვისგან ან რომელ კანო[illegible] ოფიციალურის მისიით ე[illegible]ში ჩამოსვლის ნებაო.

◆ „კავკაზ"-ში დაბეჭდილია ნამესტნიკის თანაშემწის გენერალ მალამას მიერ გაუქმებული სავალდებულო დადგენილება ტფილისში ნებადაურთველად **იარაღის ტარებისა და გაყიდვის** აკრძალვის შესახებ. იმავე ნომერში დაბეჭდილია მეორე სავალდებულო დადგენილება ქალაქ ერევნის შესახებ.

◆ რუსულ გაზეთებში ამ ბოლო დროს **ბევრი რამე იბეჭდება კავკასიაზე.** „ბირჟ. ვედ."-ის უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია მთელი ფელეტონი—ნალაპარაკევი ტფილისის, ბაქოს და ერევნის დეპუტატებთან. ახალი, რაც ჩვენმა მკითხველებმა არ იცოდნენ, ამ ფელეტონში არაფერია.

◆ **გარდა საერთო მოთხოვნილებისა** რკინის გზის მემანქანენი თხოულობენ: მოემატოთ ჯამაგირი ან და დაუბრუნდეთ ბინის ქირებისათვის წინად დანიშნული ფული; მოემატოთ თითოეულ ვერსზე 1/3 კაპეიკისა; გაკეთდეს ორთქლ-მავლებზე ბუდკები ზამთრობით და სკამები და ჭერი ზაფხულობით, რადგან ეხლა მემანქანენი ცივდებიან და ავადმყოფდებიან; ნება მიეცეთ პირდაპირ მოელაპარაკნენ თავიანთ საჭიროებაზე რკინის გზის უფროსებს შვეიცარის მოუხსენებლად, როგორც ეხლა არის; ნება მიეცეთ საამხანაგო სასამართლო დააწესონ და იყოლიონ ექსპერტები ამხანაგების დანაშაულობათა გასარჩევად და სხვა. მემანქანენი დანარჩენში უერთდებიან რკინის გზის მოხელე-მოსამსახურეებს.

◆ 8 აპრილს **ბაქოს სადგურის მუშები და ხელოსანნი შეუდგნენ მუშაობას,** მაგრამ ამასთან მოითხოვეს, მიეცეთ დაუყოვნებლივ ფული.

◆ როგორც ვწერდით, **სოხუმის ეპისკოპოსად** არსენის ნაცვლად დაინიშნა სერაფიმე (ჩიჩაგოვი). ეხლა ამის შესახებ ოფიციალური ცნობაა დაბეჭდილი „პრ. ვესტ."-ში.

◆ მატარებელი № 4 მიხაილოვში გაჩერდა. 8 იანვარს **მგზავრებმა მოითხოვეს,** რკინის გზამ მისცეს საკვები. უფროსის განკარგულებით მგზავრებს ფული დაურიგდა.

◆ სდ. მიხაილოვის **მემანქანეები მიემხრნენ** ტფილისელ მემანქანეთა მოთხოვნილებებს და განაცხადეს, სანამ ამ მოთხოვნილებებს არ აასრულებთ, მუშაობას არ შევუდგებითო. 8 აპრილს 1000 კაცი შევიდა სატელეგრაფო ნაწილში და დაითხოვა ტელეგრაფისტები. სადგურზე შესწყდა ყოველივე მუშაობა.

◆ ამას წინად მღვდ. კალ. ცინცაძემ თავი დაანება ქალ. **ტფილისის საეკლესიო სკოლების მეთვალყურეობას,** მის მაგივრად კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიის მღვდელი გიორგი გამრეკელი დაინიშნა. ამანაც უარი განაცხადა. როგორც ამბობენ, ეს თანამდებობა ბოლოს დროს ვერის იოანე ღვთის-მეტყველის ეკლესიის მღვდლის ი. მიხაილოვსკისთვის მიუნდვიათ.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ გ. ლაზარევმა და ძმ. ჯმუხაძეებმა ღარიბ მოწაფეთა დახმარებისათვის ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებას შესწირეს **ათასი** მანეთი ხიდის ასაშენებლად სათავადაზნაურო სკოლის ახალ შენობის მამულში. ამ ფულის ანგარიშში შემომწირველებმა კიდეც გადასცეს ხუთასი მანეთი.

◆ **ბათუმიდან ტფილისში** მომავალი მატარებელი № 4 8 აპრილს უკანვე ბათუმში დაბრუნდა.

◆ დეკანოზმა მარკოზ ტყემალაძემ თავი დაანება **ქართლ-კახეთის საეპარქიო სასკოლო საბჭოს** განყოფილების თავმჯდომარეობას. მის მაგიერად საბჭომ დანიშნა თავმჯდომარედ—მღვდ. კალ. ცინცაძე, რომელმაც უარი განუცხადა საბჭოს ამ თანამდებობის მიღებაზე.

◆ ტფილისის **სასულიერო სემინარიაში** პირველს კლასში მისაღები ეგზამენები, როგორც ისმის, 2 მაისს დაიწყება.

◆ სიღნაღის მაზრაში ხალხს **მიწის-მზომლები** (გამიჯვნის კომისია) არ მიუღია.

◆ ტფილისის **საეპარქიო დედათა სასწავლებლის** ინსპექტორი დეკ. გოროდცევი, როგორც ისმის, ამ თანამდებობას თავს ანებებს.

◆ როგორც ამბობენ, ტფილისის **სასულიერო სემინარიის რექტორი** არქიმანდრიტი ნიკანდრი შიდა რუსეთში გადაჰყავთ.

◆ კავკასიის საფთიაქო მაღაზიაში მოსამსახურემ ივანე ყორღანოვმა შემდეგი **ქაღალდი შეიტანა ქალაქის გამგეობაში.** 8 აპრილის ღამეს, როდესაც შინ ვბრუნდებოდი, ელისაბედის ქუჩაზე, ალექსანდრე-ნეველის ტაძრის მახლობლად, მეეტლეს დავუძახე. ამ დროს მე და ჩემ ამხანაგ ვოლმერს თავს წამოგვადგა ორი შეიარაღებული ყაზახ-რუსი. ამოიღეს ხანჯლები, აქეთ-იქიდან დამადგნენ, მეუბნებოდნენ „ბუნტოვჩიკი ხარ, მოგკლავთ, შე სალიონოო!" და თან ჯიბეებს მიჩხრეკავდნენ ვითომდა იარაღის წასართმევადაო. ყაზახებს ამოუცლიათ ჯიბიდან 15 მან. ოქროს ფული და 80 კაპ., შემდეგ აუგლეჯიათ ოქროს ჯაჭვიანად საათი, გაუხდიათ პალტო, პიჯაკი და ასე ქუჩაში მიუტოვებიათ. ამის შემდეგ ყორღანოვი პოლიციაში წასულა, იქ ყოველივე ეს უამბნია, და ოქმიც შეუდგენიათ. ნათხოვარი ტანისამოსი ჩაუცვამს და ისე მისულა სახლში.

◆ უკვე გავაცანით მკითხველებს ტფილისის ტრამვაის კონდუქტორებისა და ვატმანების **მოთხოვნილებანი.** ტრამვაის მსახურთ უსახელო საზოგადოებას ვადად დაუნიშნეს 12 აპრილი. გუშინ-წინ საზოგადოების დირექტორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, მოსამსახურეებზე ამ ჟამად 120,442 მან. გვეხარჯება და რომ მოვუმატოთ, როგორც მოსამსახურენი თხოულობენ, 266,325 მან. დაგვეხარჯება, რაც ჩვენთვის საზარალოაო. ყოველ შემთხვევაშიო,—სწერს დირექტორი, 12 აპრილამდე ვადა ცოტაა, რადგან ბრიუსელში უნდა შევეკითხოთ საზოგადოებასაო.

◆ როგორც დანამდვილებით გავიგეთ, **სოხუმის ოლქის უფროსს** პოდპოლკოვნიკს პროგულბიცკის სამსახურიდან გამოსვლის ქაღალდი შეუტანია. ოლქის უფროსად, როგორც ხმა დადის, დაინიშნა პოლკ. თავ. როსტომ წერეთელი.

◆ გუშინ, 9 აპრილს, **ბაქოსკენ ერთი მატარებელი** (№ 4) **წავიდა.** ბათუმისაკენ მატარებელი არ წასულა.

◆ მოგვივიდა ახალი სურათი ეგნატე ინგოროყვასი (ნინოშვილისა). სურათი გამოცემულია სპ. ჭელიძის მიერ და ღირს ექვს შაურად. სურათი დიდია.

◆ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „შევსწუხდით მთა-წმინდის მცხოვრებნი ქალაქის გამგეობის წინაშე ხვეწნა-მუდარით, რომ ჩვენთვისაც მოეკირწყლა ქუჩები და აგვცილებოდით ამოდენა ტანჯვას უგზოობით. ნეტავი თვით ქუჩებს მაინც შეეძლოთ ქალაქის გამგეობაში მისვლა, რომ შეეჩივლათ აქაური უბედურობა. დროა ქალაქმა ჩვენც მოგვხედოს და მოგვაქციოს ყურადღება. ჩვენც ქალაქის ნაწილს შევადგენთ, ჩვენც ვწევით ყოველგვარ ხარჯსა და ვაივაგლახს. ჩვენთვისაც საჭიროა ქუჩების მოკირწყვლა. ვერ დაგვაკმაყოფილებს მარტო პრიუტის ქუჩის მოკირწყვლა, რომლიდან აჭრილი მიწაც სახლების კედლებზედ შეაგროვეს, რომ უფრო იოლად დასჯდომოდათ მოიჯარადრეებს და სახლის პატრონებს გაუხადეს თავში საცემად..."

◆ „შრომის მოყვარეობის" სახლის ზედამხედველი პოლკოვნიკი ივანოვი 5 მარტს გამოსულა და აღარ დაბრუნებულა შინ. მხოლოდ 8 მარტს გაიგეს, რომ ის იმ დღეს ორთაჭალის ხიდიდან უცაბედად ჩავარდნილა მტკვარში და დამხრჩვალა.

◆ 8 აპრილს პარალელურ ქუჩაზედ მცხოვრებ ნიკოლოზ გორიაევთან მისულა ორი უცნობი კაცი, ვითომდა დეპეშის გადასაცემად. სახლში ერთს გორიაევისთვის ყელში ხელი წაუჭერია, ხოლო მეორეს ჯიბეები გაუჩხრეკია. წაურთმევიათ 178 მან.

მემანქანეთა, მათ თანაშემწეთა და კონდუქტორთა კრება

9 მარტსაც ჰქონდათ კრება მემანქანეებს, მათ თანაშემწეებს, კონდუქტორებს, მეისრეებს და სხვებს. კრება მოხდა ქალაქის საბჭოს დარბაზში ქალაქის მდივნის სტ. ჭრელაშვილის თავმჯდომარეობით. ამორჩეულმა დეპუტატებმა აცნობეს დამსწრეთ: 8 აპრილს შემუშავებული მოთხოვნილებანი წარვუდგინეთ გენერალ მალამას განსაკუთრებით შემდგარ კომისიას. კომისიასთან თათბირის დროს გამოირკვა, რომ შესაძლებელია შევვისრულონ ჩვენი მოთხოვნილებანი; კომისია ყოყმობს იმ მუხლის გამო, რომელიც შეეხება „ტიაგის" უფროსის ვარტენბურგის დათხოვნასაო. კრებაზე სთქვეს, კარგი იქნება ეს საგანი მეორე კატეგორიის მოთხოვნილებებში იქნას შეტანილიო. კრებამ დაადგინა, საბოლოოდ საქმის გადაწყვეტამდე, შეეკითხნენ ამ საკითხის შესახებ ბათუმისა, ფოთისა, ქუთაისისა, ბაქოსა და სხვა შტოს მოსამსახურეთ.

შემდეგ კრებამ მოისურვა 8 აპრილს შემუშავებულ მოთხოვნილებათა შევსება და ლაპარაკი ჩამოაგდო სლესარის კაზენბერგის დაჭრის შესახებ. კაზენბერგი დეპოში მიდიოდა რევიზიისთვის. ყაზახ-რუსებს დაუჭერიათ იგი, ვითომ როგორც მემანქანეთა გაფიცვაში მონაწილეობის მიმღები, უცემიათ მათრახებით და დაუჭრიათ თავსა და პირში. კრებამ დაადგინა აცნობოს ეს ამბავი კომისიას. აღნიშნეს აგრეთვე ყაზახ-რუსების საქციელი ერთ გიმნაზიელის, სომხიევის, შესახებ. ორშაბათს სომხიევი სადგურზე დაუჭერიათ, უცემიათ და დაუჭრიათ მძიმედ. სომხიევი უკვე გარდაიცვალა. კრებამ დაადგინა, სთხოვოს აგრეთვე კომისიას მეისრის აღნიაშვილის საპყრობილიდან განთავისუფლება.

მეოთხე საკითხი შეეხება რკინის გზებზე შემოღებულ წეს-წყობილების გაუქმებას. ამიერ-კავკასიის რკინის გზის ყველა მოსამსახურისთვის და კავკასიის მცხოვრებთათვის აუტანელმა საომარ დროის წესებმა დიდი და მწვავე კამათი გამოიწვია. ორატორებმა დაასურათეს როგორ არის ამ წესების წყალობით შეწუხებული ხალხი. კრებამ დაადგინა, თხოვოს კომისიას იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობის წინაშე, გააუქმდეს საომარ დროის და გაძლიერებულ დაცვის წესები ამიერ კავკასიის რკინის გზებზე. ბაქოსა, ფოთსა და სხვაგან რკინის გზის უფროსის განკარგულებით დაუპატიმრებიათ ის მოხელენი, რომელთაც გაფიცვაში მონაწილეობა მიუღიათ. ბაქოში 400 კაცია დაპატიმრებული. კრებამ დაადგინა, სთხოვოს კომისიას იმათი განთავისუფლება, რომელთაც გაფიცვაში მონაწილეობა აქვთ მიღებული და მიტომ არიან დაპატიმრებულნი. აგრეთვე ეთხოვოს კომისიას განხილვა ორქრუაშვილის საქმისა, რომელიც, როგორც პოლიტიკური დამნაშავე, პასუხისგებაშია მიცემული. აგრეთვე ნება მიეცეთ რკინის გზის მოსამსახურეებს, შეადგინონ განსაკუთრებული კომისია, რომელიც განიხილავს ამხანაგების ყველა საჩივრებს სხვა-დასხვა საქმეების შესახებ. ამის შემდეგ ერთმა ორატორმა წარმოსთქვა: ჩვენ გვავიწყდება უმთავრესი საკითხი, ურომლისოდაც არავითარი გარანტია არ გვექნება საქმის კარგათ მსვლელობისა. მეტის ატანა აღარ შეგვიძლიან, ჩვენც ადამიანები ვართ, ამიტომ მოვითხოვოთ ადამიანური უფლებები, მოვითხოვოთ უფლება, რომელიც ხელუხლებელი უნდა იყოს პოლიციისა და, საზოგადოდ, ადმინისტრაციისაგან. ჩვენ აუცილებლად უნდა მოგვეცეს ადამიანური თავისუფლება გაფიცვისა, წერისა, სიტყვისა, კრებებისა და კავშირებისაო. ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა კრებამ და დაავალა დეპუტატებს, კომისიას ესეც მოახსენოს.

ზოგიერთ სხვა მუხლების მიღების შემდეგ რემონტის მუშამ დათიაშვილმა ასწერა მუშების აუტანელი მდგომარეობა. დათიაშვილმა სთქვა: უჩვენოთ ერთს ნაბიჯს ვერ გადასდგამს მატარებელი, ჩვენა ვართ მთელი გზის გამკეთებელნი, შემსწორებელნი. და, აი, ჩვენ ამგვარ პურით ვიკვებებით; კიდევ კარგი, რომ ესეც საკმაო გვქონდესო (აქ კრებას წარმოუდგინა დათიაშვილმა შავი, გამხმარ-დაობებული პური).

ფელეტონი

კანადა

როგორც მკითხველს მოეხსენება, კანადა მდებარეობს ჩრდილოეთ ამერიკაში, სივრცით ცოტათი ნაკლებია შეერთებულ შტატებზე, მცხოვრებთა რიცხვი კი უდრის 5 მილიონს. კანადა პირველად აღმოაჩინეს და დაიპყრეს ფრანცუზებმა მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში და 1541 წელს უკვე დაიწყეს კანადის დასახლება, რომელსაც უწოდეს სახელად „ახალი საფრანგეთი". მაგრამ კოლონიზაციის საქმე თავიდანვე ცუდად მოეწყო და ძლიერ ცოტა ხალხი მიდიოდა დასასახლებლად კანადაში. მიუხედავად მრავალის საშუალებისა, რომელსაც ხმარობდა საფრანგეთი კანადის ახალშენების გასაფართოვებლად, მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრებთა რიცხვმა ძლივს მიაღწია 70 ათასამდე, მაშინ როდესაც იმავე დროს განმავლობაში მეზობლად გადმოსახლებულ ინგლისელთა რიცხვი ავიდა 1½ მილიონამდე.

ამის მიზეზი იყო შემდეგი გარემოება. საფრანგეთის მთავრობამ კანადაში დააწესა იმგვარივე ფეოდალური მიწის-მფლობელობა, როგორც არსებობდა მაშინ თვითონ საფრანგეთში: მთელი მიწა ნაწყვეტ ხელში რამდენსამე თავადაზნაურს და მიწის მუშები ჩავარდნენ ყმების მდგომარეობაში, მა[illegible] მუშებს აწვა კისერზე მრავალი გადას[illegible] მოსამსახურე, [illegible] ალი, თუ არ [illegible] ეთი ბედ[illegible] ავან იყოებ[illegible] რთ აშ[illegible] დელოება, [illegible]

და შეჰბორკა მათი გონებრივი მოძრაობა. ამას უნდა დაუმატოთ, რომ კანადის მცხოვრებლები მოკლებული იყვნენ ყოველგვარ პოლიტიკურ თავისუფლებას: კანადის მართველობა იყო დესპოტიური, ხალხი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა მართვა-გამგეობაში; მმართველებს შორის მუდამ უთანხმოება იყო. მეორე მხრით ადგილობრივი სამღვდელოება ერეოდა მთავრობის საქმეებში, აბეზღებდა კანადის მმართველებს საფრანგეთის მთავრობასთან და ხელს უშლიდა მართვა-გამგეობის წესიერად მოწყობას.

სამაგიეროდ სულ სხვანაირად იქცეოდა ინგლისი (მისი ახალშენები იყო, სადაც დღეს შტატებია), იგი პირდაპირ აძლევდა მიწას გლეხებს, ხმარებოდა მათ მეურნეობის გაუმჯობესებაში, ახალშენებს მინიჭებული ჰქონდათ თავისუფლება, ადგილობრივი მცხოვრებნი მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო საქმეებში.

ამის შედეგი იყო ინგლისის ახალშენების გაძლიერება. ამ გაძლიერებას-კი თან მოჰყვა ინგლისის და საფრანგეთის შეტაკება. საფრანგეთს ძლიერ ცოტა ხალხი ჰყავდა, მაგრამ ცდილობდა სულ ახალ-ახალის ადგილების დაპყრობას. ამან გაამწვავა ინგლისის და საფრანგეთის დამოკიდებულობა და 1713 წ. ინგლისმა წაართვა ს[illegible] ნაწილი კანადისა. საფრანგეთს მაშინ[illegible], ჰქონდა ევროპაში, ინგლისი-კი თავისუფალ[illegible] და უფრო მედგარი ბრძოლა დაუწყო მო[illegible]მაგეს. საფრანგეთმა ზედიზედ დაჰკარგა რამდენიმე საუკეთესო ქალაქი და ციხე. 1763 წელს სრულიად გადაწყდა კანადის ბედი და ხელშეკრულობის ძალით იგი გადავიდა ინგლისის ხელში.

ამ გარემოებამ დიდი ცვლილება შეიტანა კანადის ცხოვრებაში. 1764 წელს გამოცემულ იქნა კანონები კათოლიკეთა წინააღმდეგ, ყველა [illegible] მწიფოთ სამსახურიდან; უმთავრესი თანამდებობანი გადაეცა ინგლისის კარის კაცებს, რომლებიც სცხოვრობდნენ ლონდონში და საქმეებს განაგებდნენ მოადგილეების შემწეობით; ფრანგულ სასამართლოს ნაცვლად დააწესდა ინგლისური. ყველა ამან გამოიწვია ფრანგების უკმაყოფილება და ინგლისის მთავრობა 1774 წელს იძულებული შეიქნა გამოეცა „კვებეკის აქტი": მიანიჭა კანადას სარწმუნოების თავისუფლება, დაუბრუნა კათოლიკე მღვდლებს წინანდელი შემოსავალი და აღადგინა ძველი სამოქალაქო კანონები, გაავრცელა კანადაზე habeas corpus აქტის მოქმედება და მოსპო ზოგიერთი გადასახადები, რომლებიც მეტად ავიწროებდა მცხოვრებლებს. კანადის მართებლობა ჩაბარდა მთავრობისაგან დანიშნულ 23 კაცის საბჭოს.

ინგლისის ხელში გადასვლის შემდეგ ძლიერ მოიმატა კანადის მცხოვრებთა რიცხვმა. 1763 წელს კანადაში იყო 70 ათასი მცხოვრები, 1800 წელს კი 240.000. ეს გამრავლება გამოიწვია ინგლისელების გადასახლებამ და ამის შემდეგ კანადამ უფრო ინგლისური ხასიათი მიიღო. ინგლისელებმა დააარსეს ორი საკუთარი ახალშენი—ახალი შოტლანდია და ახალი ბრუნსვიკი. კერძოდ თვითონ კანადაში დაიბადა უთანხმოება ფრანგ და ინგლისელ მცხოვრებთა შორის და 1791 კანადა გაიყო ორ ნაწილად, კოლონიად: ფრანგების კანადად (ქვემო კანადა) და ინგლისელების კანადად (ზემო კანადა). ამავე წელს გამოიცა კანონი, რომლის ძალით ორივე კანადას, ახალ შოტლანდიას და ახალ ბრუნსვიკს მიეცა სახალხო თვითმმართველობა მცირეოდენის უფლებით. ყოველს კოლონიაში მმართველად იყო გუბერნატორი, მასთან არსებობდა აღმასრულებელი საბჭო, რომ[illegible] და სახალხო კრებული, რომლის საქმე იყო ბიუჯეტის დამტკიცება და კრიტიკული განხილვა მთავრობის მოქმედებისა. ჯარების საქმეს კი წინანდებურად განაგებდა ინგლისის ცენტრალური მთავრობა.

1812—14 წლებში შეერთებულ შტატებს ომი ჰქონდა ინგლისთან და უნდოდა დაეპყრო კანადა, მაგრამ კანადის ფრანგებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. მიუხედავად ასეთის ერთგულებისა, ინგლისი მაინც უნდობლად უყურებდა ფრანგებს და არ აძლევდა მათ სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლებას. ფრანგების უკმაყოფილება თანდათან გაიზარდა, განსაკუთრებით წინააღმდეგნი იყვნენ ფრანგები ინგლისელების ქვემო კანადაში გადმოსახლებისა.

1836 წელს ქვემო კანადის საკანონმდებლო კრებულმა დაამცირა გადასახადები მხოლოდ ექვსი თვით და მოითხოვა, რომ როგორც კრებულის, ისე საბჭოს წევრები არჩეული ყოფილიყვნენ ხალხის მიერ, რომ მთავრობა პასუხის მგებელი ყოფილიყო ხალხის წინაშე. კრებულმა მიიღო „ადრესი" ინგლისის მთავრობისადმი. ადრესში მოთავსებული იყო 92 რეზოლიუცია, მკაცრად ჰკიცხავდა ინგლისის მთავრობას და საზოგადოდ ყოველ მონარქიულ წესწყობილებას და ამასთანავე სრულს თანაგრძნობას უცხადებდა შეერთებულ შტატების რესპუბლიკას. მთელი ამ მოძრაობის წინამძღოლი იყო პაპინო, რომელიც სწერდა თავის გაზეთში: „ყველაფერი კანონიერია, როდესაც განსაცდელშია თავისუფლება"... „არავითარი შებრალება არ უნდა არსებობდეს ჩვენი მძარცველებისათვის"... ქვემო კანადის მოძრაობას მიემხრო ზემო კანადაც მეკენზის მეთაურობით. როდესაც ინგლისის მთავრობამ უარჰყო ზემოხსენებული მოთხოვნილებანი, ქვემო კანადის სახალხო კრ[illegible] ექვსი თვისთვის. მაშინ გუბერნატორმა დაითხოვა კრებული, რასაც მოჰყვა შეიარაღებული აჯანყება. აჯანყება დაიწყო ზემო კანადაშიც, მაგრამ ერთის წლის შემდეგ ინგლისის ჯარმა დაამარცხა მეამბოხენი. კანადელებმა მიმართეს დახმარებისათვის შეერთებულს შტატებს, უკანასკნელნი გამოექომაგნენ კანადას და კინაღამ ომი ატყდა ინგლისსა და შტატებს შორის, მაგრამ ინგლისმა დაუთმო აჯანყებულებს და მიანიჭა კანადას დემოკრატიული, პასუხის მგებელი მმართველობა. 1840 წელს ქვემო და ზემო კანადა ხელ-ახლა შეერთებულ იქნა ერთ კოლონიად, კანონმდებლობის უფლება მიენიჭა საბჭოს და პალატას, დაწესდა პასუხის მგებელი სამინისტრო და გუბერნატორს მიეცა უფლება საკონსტიტუციო მეფისა, რომელიც „მეფობს, მაგრამ კი არ მმ[illegible]ველობს". ამ გვარივე თვითმმართველობა დ[illegible] შოტლანდიასა და ახალ ბრუნ[illegible]

ასეთია მოკლე ისტორია [illegible]ბის ფედერაციის დაწესებამდ[illegible]ნიას ცალკე, დამოუკიდებელ[illegible]ლიაბა ჰქონდა, სრულიად [illegible] შინაურ საქმეებში და ერთს [illegible]თან არავითარი კავშირი და [illegible] არა ჰქონდა. კანადის კოლონიებ[illegible] ცალკეება ერთი მეორისაგან [illegible]ლებდა ახალშენების განვით[illegible] ვაჭრობა და მრეწველობა შე[illegible] გაძნელებული იყო ერთი კოლ[illegible] რკინის გზის გაყვანა, ყოველ[illegible]ვისი საბაჟო წესები ჰქონდა, [illegible] ვაჭრობას ურთიერთ შორის. [illegible]

მეზობელ კოლონიების ას[illegible] მდგომარეობა დიდხანს გ[illegible] რამდენად უფრო და უფრო [illegible] მმართველობა ახალშენებში [illegible]

დღეში 50 კაპ. გვაქვს და მთელ დღეს ხარებივით შებმული ვართ საქმეში. ვითხოვთ ჯამაგირი მოგვემატოს 1 მან. დღეში, 8 საათის დრო სამუშაოდ დაინიშნოს და კარგი ბინები მოგვეცესო. კრებამ მიიღო წინადადება და დაადგინა ოქმთან ერთად პურის ყუა წარუდგინოს კომისიას. მუშამ დაიძახა, მეც მაგ პურის ყუასთან ერთად გამგზავნეთ იმ კომისიაში, რომ დავუმტკიცო ჩვენის მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროებაო. კრებამ დათიაშვილიც დეპუტაციაში აარჩია. მეისრეებმა და ვაგონების ზემდგენელებმა მოითხოვეს ქრთამებისა და უსამართლობის მოსპობა ტფილისის სადგურზე. სხვათა შორის, სთქვეს: როცა ვითხოვთ ადგილს, გვეუბნებიან, ვაკანსია არ არისო. მივხვდებით ხოლმე, რომ სადგურის უფროსი ქრთამსა გვთხოვს. ვაძლევთ სამ თუმანს, ოთხს, გადის ერთი კვირა და სამსახურიდან გვითხოვენო და სხვა. დასასრულ ერთმა მგზავრმა, რომელიც კრებას დაესწრო, სთხოვა მემანქანეებს, ეს ერთი კვირაა ქალაქში მოვემწყვდიეთ, აქ საცხოვრებელი ფული არა გვაქვს, კარგი იქნება, ამ გაჭირვებიდან გამოგვიყვანოთო. კრებამ დაადგინა, ეცნობოს მცხოვრებთ, რომ მოხელენი სწუხან საქმის ამნაირად მოწყობის გამო, მაგრამ ეს მოხდა მათდა უნებურად და კარგი იქნება ხალხმა სთხოვოს მთავრობას, რომ სულ მცირე ჩვენი მოთხოვნილებანი შეასრულოსო. დასასრულ კრება გაემგზავრა გიმნაზიელ სომხიევის მშობლებისთვის სამძიმრის გამოსაცხადებლად და გასვენებაზე დასასწრებლად.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 9 აპრილი. დაიწყო თავად-აზნაურთა კრება. თეატრი, სადაც კრებაა, ხალხით გაჭედილია. კამათი საინტერესოა. ადრესის შემუშავებას შეუდგნენ.

სვანეთიდან ამბავი მოვიდა, რომ თავადებმა გარდაფხაძეებმა მოჰკლეს თავ. შამშე გელოვანი გლეხთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის. ხალხი აღელვებულია. ხიდი აჰყარეს, სვანეთში გზა შეიკრა.

ქუთაისი. თავადის გარდაფხაძის მიერ თავადის შამშე გელოვანისა და ერთის გლეხს მოკვლის შემაძრწუნებელმა ამბავმა საშინლად აღაშფოთა საზოგადოება. სვანეთში ყაზახ-რუსებსა ჰგზავნიან.

პეტერბურგი. ჟურნალისტების კრება გათავდა. გადასწყდა ჟურნალისტთა კავშირის დაარსება.

რუსეთის ქრონიკა

მომავალი პარლამენტი. ერთ პეტერბურგელ კორესპონდენტს გაუცვნია პროექტი მომავალ „პარლამენტისა“.

რა სახელი ექნება „პარლამენტს“, ჯერ არ არის გადაწყვეტილი; პროექტით, ორი პალატა უნდა იქნეს, ერთი—„სახელმწიფო თათბირი“, მეორე—„სახელმწიფო საკრებულო“. თათბირში 120 წევრი იქნება—60 ევროპის რუსეთის თავად-აზნაურობათაგან არჩეული, 60-ც მთავრობის დანიშნული. „საკრებულო“-ში იქნება 643 დეპუტატი: 364 საერობო გუბერნიებიდან, 72—ჩრდილოეთ-დასავლეთ მხრის 19 გუბერნიებიდან, 50—ვისლის მხრისა, 32—ფინლანდიისა, 30 კავკასიისა, 30 ციმბირისა, 15—ბალტიის მხრისა, 15—შუა აზიიდან. გარდა ამისა რვა დიდი ქალაქი (პეტერბურგი, მოსკოვი, ვარშავა, ოდესსა, კიევი, ხარკოვი, რიგა, ლოდზი) 20 დეპუტატს ირჩევს, მართლმადიდებელი სასულიერო წოდება 19, დანარჩენი სასულიერო წოდებანი 5. მინისტრები წევრები იქნებიან საკრებულოსი. საკრებულო ირჩევს თავის წრიდან აღმასრულებელ კომიტეტს 18 წევრისაგან; კომიტეტმა უნდა დაამზადოს სამუშაო საკრებულოსათვის, ამის დადგენილებანი უნდა გადასცეს მთავრობას და დამოკიდებულება ექნება „თათბირთან“. არჩევანი საკრებულოს წევრებისა ორნაირი იქნება: საერობო გუბერნიებიდან 3 დეპუტატი ყოველ საერობო (მაზრის?) კრებიდან, ორ-ორი თავად-აზნაურობისაგან, თითო ვაჭრებისაგან და სამიც გლეხებისაგან. უერობო გუბერნიებში პრუსიისებური საარჩევნო სისტემა იქნება. ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეში თავად-აზნაურობა და გლეხობა ირჩევს სამ-სამ დეპუტატს, ქალაქები და ვაჭრები—თითოს. ფინლანდიის დეპუტატებს ნიშნავს ფინლანდიის სენატი. ჩამოთვლილ დიდ ქალაქების დეპუტატებს საბჭოები ირჩევენ. პასიური საარჩევნო უფლება (დეპუტატად ყოფნის უფლება) ექნება ყველას, ვინც 25 წლის ნაკლები არ არის. არჩევანი უნდა მოხდეს შუა დეკემბრიდან, შუა იანვრამდე. საკრებულოს სესია ორია წელიწადში ორ-ორი თვე: თებერვალი და მარტი, ოქტომბერი და ნოემბერი. პროექტში არაფერი არ არის ნათქვამი არც დეპუტატების პიროვნების ხელუხლებლობაზე და არც მათ საკანონმდებლო უფლებაზე. („რ. ვ.“).

პროფესორების კრების დადგენილება. როგორც ვიცით, პეტერბურგში შესდგა რუსეთის ყველა მაღალ სასწავლებლების წარმომადგენლების კრება. ნაწილი ამ კრების დადგენილებისა (აკადემიურ წესწყობილების შესახებ) უკვე მოყვანილი გვქონდა. ეხლა უკვე ვრცლად ვბეჭდავთ.

„მიმდინარე ცხოვრების მოვლენათ რომ ვუფიქრდებით და ვუკვირდებით, ჩვენ, როგორც მოქალაქენი და მეცნიერების მსახურნი, მოვალეობად ვსთვლით საჯაროდ გამოვაცხადოთ, რომ ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა, შექმნილი რეჟიმით, რომელიც ამდენი ხანი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა შრომის ინტერესებს, ჰქმნის აგრარულ მღელვარებასა და მუშების გაფიცვას.

სოციალ-ეკონომიური საკითხები, ასე გამწვავებული ხანგრძლივ და უბედურ ომიანობით, არ გადაწყვეტილა და არც გადაწყდება ბიუროკრატიულის გზით. ეს საკითხები მთელის თავის სტიქიონურ სიდიდით წინ უდგას რუსეთს და ითხოვს დაუყოვნებლივსა და სამართლიან გადაწყვეტას. მთელი საზოგადოება შეიძრა, ძველი საფუძველი ირღვევა ფაქტიურად. ახალი ფორმები კი ჯერ არ გამორკვეულა და საზოგადოებაც განიცდის ნამდვილ უწესობას...

აუცილებელია დამყარება უფლებრივ წეს-წყობილებისა... მხოლოდ ბიუროკრატიულ დაწესებულებას შეუძლია დაკმაყოფილდეს სათათბირო ხმის უფლებით. საზოგადოებრივი აზრი კი, გამოხატული ხალხის წარმომადგენლობაში, მოითხოვს, რომ პირდაპირი გავლენა ჰქონდეს სახელმწიფო საქმეების მსვლელობაზე. სათათბირო დაწესებულება ვერ გაუწევს კონტროლს ადმინისტრაციას, რაც აუცილებელია შეურყეველ კანონიერების დამყარებისათვის.

ძირითად პოლიტიკური რეფორმა აუცილებლივ გულისხმობს, რომ ხალხის წარმომადგენლობას ექნება უფლება მონაწილეობისა კანონმდებლობის განხორციელებაში, უფლება კონტროლისა ადმინისტრაციის შესახებ და უფლება ყოველ-წლიურ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა და ასრულების თვალყურის გდებისა.

ეროვნულ, სარწმუნოებრივ, წოდებრივ და კლასიურ პრივილეგიებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სახელმწიფოში; ასეთი პრივილეგიები წინააღმდეგია სოციალურ სამართლიანობისა და თანასწორობისა...

ხალხის წარმომადგენლობა უნდა იქმნეს დამყარებული საყოველთაო და ყველასათვის თანასწორ საარჩევნო უფლებაზე...

პირველ სახალხო წარმომადგენლობის მოწვევას წინ უნდა უძღოდეს შეძლება შეკრების, სიტყვის და წერის თავისუფლება, რომ იმპერიის ყველა მცხოვრებთ, განურჩევლად კლასისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, შეეძლოთ თანასწორ მონაწილეობის მიღება საერთო საქმეში.“

ეროვნულ კითხვის გამო პროფესორებს დაუდგენიათ:

„აქამდე რუსეთის მთავრობა ამცირებდა არარუსებს და სპობდა მათ ეროვნულ თავისებურობას, უფლებას უკვეცავდა, ვინც რუსი არ იყო და მართლმადიდებელ სარწმუნოებას არ აღიარებდა. ასეთი პოლიტიკა არა მარტო წინააღმდეგია სულ უბრალო სამართლიანობისა, იგი დიდათ მავნებელია როგორც მთელის რუსეთის, ისე მის ნაწილების ზნეობრივ, კულტურულ და ეკონომიურ განვითარებისათვის. გარდა ამისა გარუსების ასეთი პოლიტიკა არის ერთი მაზეზთაგანი რუსეთის სახელმწიფოს დამცირებისა და მის შინაგან თუ გარეშე უძლურებისა. ამიტომ პროფესორების კრებას ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნია გამოსთქვას თავისი ღრმა რწმენა, რომ აუცილებელია მიენიჭოს რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ერებს სრული თანასწორუფლებიანობა და უფლება თვით-გამორკვევისა. უახლოესი ღონისძიება ამ პრინციპის განხორციელებისა ის იქნება, რომ ადგილობრივ ეროვნულ ენას მიენიჭოს ბატონობა სკოლაში.“ რეზოლიუცია ერთხმად მიუღიათ და ხელი მოუწერია 170 პროფესორს.

პატარა ფელეტონი

მეგობრები.

ერთი ოხუნჯი ფრანგი დრამატურგი მოქმედ პირს ალაპარაკებს:

„სხვა-და-სხვა ნაირი, გვარი, ფერი მეგობრები გვყავს. არის მეგობარი, რომელიც მზადაა შენთვის მთელს ქვეყანას შეებრძოლოს, არის ისეთიც, რომელიც შეებრძოლება!

„არის ისეთი, მეგობრობას ძირამდე ჩაჰყვება, შენს ოჯახში ბრძანებლობს, შენს საქმეებში ერევა, გეალერსება, გილოლიავებს, გირჩევს შინიდან ნუ გახვალ, „გაცივდებიო“, და თუ გახველი, შენს ცოლს მიუჩოჩდება!

„არის ისეთიც, სიტყვით ცას ვარსკვლავს მოგლეჯს და ფეხ-ქვეშ დაგიფენს, საქმით ორმოს გაგითხრის, შიგ ჩაგასვენებს!“.

დიახ, არიან, რადა მეგობრები!

**

განსაკუთრებით კარგი მეგობრები ჰყოლია ჩვენს ხალხს:

—ჩვენ ძმანი ვიყავით და ძმები ვართ!—ამბობს ერთი.

— არასოდეს შეწუხება არ მიგვიყენებია, ყოველთვის ტკბილად და ნაზად გეპყრობოდით!—გაიძახის მეორე.

— ბატონ-ყმობის დროსაც მამაშვილურად ვიყავით.

— ერთს ტაფაში ვიწოდით, ვიწვით, უნდა დავიწვათ!

— მეც არაფერი მაქვს, მაგრამ რაცა მაქვს, იმათ მივცემ...

ყოველ-დღე, ყოველ საათში ამისთანა სიტყვები გაისმის კულბის წინ, ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილ საზოგადოებაში...

და კორისაკენ, ქართლის სოფლებზე, კახეთისაკენ, სიღნაღის გზებზე, გურია-იმერეთს ჯარი მიდის... მეგობრობის განსამტკიცებლად!!

გოლოვინის პროსპექტზე კი ტკბილი სიტყვები: „ძმობა, ერთობა, მეგობრობა“ ბევრი იხარჯება!

აღარც თავად-აზნაურთა კრება არის საჭირო, აღარც კომისია, არც სხვა რამე.

მუქარამ გაიმარჯვა, ტყვია-წამლის საწყობი გაიღო, თოფ-დამბაჩა იტენება!

და მეგობრობაც ამასა ჰქვიან!!!

**

სცენა მეორე

გიგო, მიშო, ვანო, ჩალხანა და ხალხი.

გიგო (რუსულად).—ავტონომია, გასპადა.

ხალხი. ქართულად! ქართულად!

მიშო (გიგოს) დამაცადე, შენ მაგიერად მე ვიტყვი, ჩემ მაგიერადაც, თუ გინდა, სხვების მაგიერადაც... ბატონებო, ჩემი მეგობარს გიგოს რაც უნდა ეთქვა—იმას მე ვიტყვი... ავტონომია?! დიახ, ბატონო, კარგია, მაგრამ ახლა დრო არ არის, და რადგან არ არის, არც იქნება და როდესაც იქნება, მაშინ იქნება...

გიგო. ნე ვრემია, გასპადა!

ჩალხანა. პრავდა, პრავდა!

ვანო. მოი დრუგ მიშო პრავდუ გოვორიტ...

ხალხი. ქართულად, ქართულად!

მიშო. აი, ჩემი მეგობრები, გიგო, ვანო და ჩალხანა მემოწმებიან, რომ დრო არ არის და როდესაც იქნება, მაშინ იქნება...

ჩალხანა. პრავდა, პრავდა!

გიგო. მაი დრუზია, მიშო, ვანო ი ჩალხანა, გორჯუს...

ხალხი. ქართულად! ქართულად!

მიშო (გიგოს) დამაცადე. ჩემ პატივცემულ მეგობარს გიგოს უნდა ეთქვა, ამ გიგოსაზე მოგახსენებთ, რომ ის ჩემი და ჩემი მეგობრების მეგობარია და ამით ამაყობს, ავტონომია კი ჯერ დრო არ არის და რადგან არ არის, არც იქნება და როდესაც იქნება, მაშინ იქნება...

ხალხი. გრინგმუტი, მეშჩერსკი ასი წელიწადია მაგასვე იძახიან...

მიშო. მართალია და მაგათაც არ უნდა გაწყენინოთ... ეწყინებათ და რომ ეწყინებათ... გაჯავრდებიან და როდესაც გაჯავრდებიან, მაშინ გული მოუვათ და გულ-მოსული, სულ გულ-მოსულები იქნებიან...

ხალხი. არ გაათავე? კმარა, კმარა!

ვანო. სპროსიმ ნაროდ...

გიგო. რაზუმეეტსა!

ჩალხანა. ნეპრემენო!

მიშო. ჩემი მეგობრები გიგო...

ხალხი (აწყვეტინებს). ვანო და ჩალხანა...

გიგო. მაი უვაჟაემია დრუზია....

ხალხი (აწყვეტინებს). მიშო, ვანო და ჩალხანა..

მიშო. ჩემი მეგობრები და მე ვდგევართ ტრიალეთის მთის წვერზე და იქიდან გეძახით... არ არის ავტონომიის დრო..

ხალხი. ძირს, ძირს!. კენჭი, კენჭი!.. (ოთხი შავი კენჭია).

ხალხი. მშვიდობით, მეგობრებო! (გადის).

გიგო. ჩემო საამაყო მეგობრებო!.,

მიშო. გაუმარჯოს გიგოს!..

ვანო. გაუმარჯოს გიგოს, მიშოს!

ჩალხანა. გაუმარჯოს გიგოს, მიშოს, ვანოს!

(ფარდა დაეშვება)

კვიმატი

წერილი რედაქციის მიმართ

ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, ქ. ტფილისში მცხოვრები ქართველები გულითად თანაგრძნობას ვუცხადებთ ბ-ნ ნესტორის ძე აღშიბაიას და მუშნი კოწიას ძე დადიანს ზუგდიდში, თავად-აზნაურთა კრებაზე, უანგარო და ჭეშმარიტ სიტყვების წარმოთქმისთვის. *) ვუსურვებთ ენერგიას, მხნეობას და კეთილ აზრების განხორციელებას. ამასთან ვუცხადებთ უკმაყოფილებას „განათლებულ“ აზნაურს ვლადიმერ კოსტას ძე აღშიბაიას და თავ. ჯარდებულ აფაქიძეს მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვების გამო.

პლატონ ანჯაფარიძე, პავლე აკობია, ვასილ გადილია, აკაკი ჩიქოვანი, მ. კინწურაშვილი, ბ. ქობალია, თ. დანელია, ლ. დარასელია, ჭ. დანელია, ეგნატე დანელია, მოსე გვაზავა, დიმიტრი კარცივაძე, ალექსანდრე შამუგია, სამსონ ბუკია, იოსებ კ. მიქაცარია, ლევან კიზირია, გიორგი ზუკაკიშვილი, თავადი ნ. ანჩაბაძე, აზნ. მ. ჩაჩანაია, ქეფხოძე, კაპანაძე, პარმენ ბუგიანიშვილი, გ. გოთუა, მ. მაქსიმენძე, ვ. მოლაშხია, ს. კვარცხელია, ფ. ბალალონია, მ. კილურაძე, ალ. ხაბურზანია, ვიქტორ ჩაჩიბაია, მ. ა. ლოლიძე, მღ. კონდრატე თათარიშვილი, კალისტრატე თათარიშვილი, ევთიმე გი. კვაჭაძე, იოსებ სანაია, ნოე ქოიავა, კოგრაძე, კოწია ჩილაჩავა, ის. ჭანტურია, მოსე კვარცხელია, სიმონ ცანავა, ანტ. მაკაცარია, მიხაილ გაბუნია, ივანე გვათუა, ბესარიონ გვასალია, ხოშტარია ალექსანდრე, ალექსანდრე გიორგის ძე გვევეშვილი, ავქსენტი დათიეშვილი, ასლან მოსეს ძე ჯაიანი, ნესტორ მიქელის ძე უგულავა, ნიკო ლარცულიანი, ლევან ადამია, პლატონ იაყრეშიძე, იონა ჯობავა, შავიშვილი კოწია, ი. რცხილაძე, ნ. სიდამონოვი, ალ. რაზიკაშვილი, ბ. თოდუა, ი. მოსულიშვილი, ა. ბაჯიაშვილი, ლ. სურმავა, ისიდორე გოგავა, გიორგი ლევანის ძე მელაძე, ევგენი პესტენავა, გერასიმე ლევანის ძე მელაძე, თომა ტყებუჩავა, კოლა ლევანის ძე მელაძე, ევგენი ჩიჩიგავა, რაჟდენ გაგუა, გრიგოლ [illegible] ჩემინავა, გიორგი კაჭკაჭაშვილი, [illegible] რაჟდენ კუხალაშვილი, სარდიონ ლოგუა, პავლე ჩახაია, ნიკოლაი ოყუჯავა, დავით ცინცაძე. კ. თავართქილაძე, ბ. ბეგლარიძე, თ. თავართქილაძისა, ი. გარსევანიშვილი, გ. შინატეხელი, გ. მაისურაძე, იოსებ იმედაშვილი. **)

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

8 აპრილი

კუანჩენცზი, 8 აპრილი. მორტირის მეოთხე პოლკის მესამე ბატარეა ულოცავს ნათესავთა და ნაცნობთ ბრწყინვალე დღესასწაულს; ვუსურვებთ მათ ყოველივე კარგს. ყველანი კარგად ვართ. პოდპოლკოვნიკი პრიუსინგი, შტაბს-კაპიტანი ავერბურგი და პორუჩიკი მარტინოვი.

გონკონგი, 8 აპრილი (რეიტერი). ჩინეთის წყლებში მდგომს ბრიტანიის ესკადრას, ბრძანება მოუვიდა სრულიად მზად იყვეს. კრეისერ „გოკ“-ს ებრძანა, 2 საათის შემდეგ გაემზადოს ზღვაში გასა-

პარიზი, 8 აპრილი, (ჰავასი). პრესანსემ და ვალიანმა სთქვეს, რომ ისინი პალატაში შეეკითხებიან მთავრობას შორეულ-აღმოსავლეთში, საფრანგეთის წყლებში, ნეიტრალიტეტის შესახებ და მოითხოვენ, რომ ეს საკითხი დღესვე გაირჩეს.

ტოკიო, 8 აპრილი („რეიტ.“). მკვიდრნი ძლიერ სწყრებიან საფრანგეთის წინააღმდეგ, რუსის ესკადრის კამრანის ბუხტაში ყოფნის გამო. გაზეთები ამბობენ, როჟესტვენსკიმ კამრანის ბუხტა საზღვაო ბაზად გაიხადა, რათა იქიდან ვაილაშქროს ხოლმე მტრის წინააღმდეგო. ერთმა ყოფილმა მინისტრმა სთქვა, იაპონიას არ სურს რაიმე გართულება მოხდეს, მაგრამ, თუ საფრანგეთმა კამრანის ბუხტა რუსეთის სრულ განკარგულებაში გადასცა, მაშინ დიდს ბრიტანეთს შეუძლიან იაპონელებს გონკონგი დაუთმოსო. მთავრობა ისევ ისე სდუმს რუსის ესკადრის კამრანის ბუხტაში დგომის შესახებ. ამბობენ, ჯერ კიდევ არ გათავებულა დიპლომატიური მიწერ-მო რაო. იაპონიის პოლიტიკურის პარ მეთაურები ურჩევენ პრესას, ზომ წყნარად მოიქცეს და დაუცად რაკების გათავებას. აქ პროტეს ბენ იმის წინააღმდეგ, რომ ირწმუნება, არაა რუსის ესკადრ ბუხტაში ყოფნის დამამტკიცებე ბიო. მოჰყავთ უტყუარი საბუთ

ვაშინგტონი, 8 აპრილი. ია მეებში რწმუნებულმა გადასცა რანგეთისთვის ვაგზავნილი ნოტა ესკადრისაგან ნეიტრალიტეტის დ სახებ.

პარიზი, 8 აპრილი. „ტანი“ მთავრობას ინდოეთ-ჩინეთის რისაგან არ მოსულია ჯერ პასუხი; ბულ გუბერნატორს მიწერილობა აქვს გაგზავნილი გამოიკვლიოს, მართლა დგას ბალტიის ესკადრა საფრანგეთის სატერიტორიო წყლებში, თუ არა. საფრანგეთის ტოკიოელმა ელჩმა აცნობა იაპონიის მთავრობას, თუ რა ზომები მიიღო საფრანგეთმა ნეიტრალიტეტის დასაცველად.

ხარბინი, 8 აპრილი. 4 აპრილს, ღამით, იანლინხეს გზის შტოზე სამასმა ხუნხუზმა დასწვა შეშისა, კოჰპისა და ფიცრების საწყობი. ზარალი 300 ათასი მანეთია. ჰფიქრობენ, ცეცხლის წაკიდებაში იაპონელი აგენტებიც იღებდნენ მონაწილეობასო. ამავე გზის შტოზე დასწვეს აგრეთვე ხის სამი ხიდი.

სიდნეი, 6 აპრილი. (რეიტერი). დღეს გავიდა ორთქლ-მავალი გემი „ვონგაფელი“, რომელსაც 46,134 ტომარა პურის ხორბალი და სხვა სანოვაგე ედო იაპონიაში წასაღებად.

ბელოსტოკი, 8 აპრილი. უცნობმა რევოლვერი ესროლა და მოჰკლა ქუჩაში მიმავალ ყაზახი. მეორე ქუჩაში სამმა უცნობმა სერი ზულად დასჭრეს, ხუთი ტყვიით, უბნის დამხედველი სავიცკი. ტყვიები მოწამლუ იყო. მსროლელნი მიიმალნენ.

როსტოვი-დონზე. 8 აპრილი. ვის ოლქის გლეხთა რამდენიმე საზოგ თავად-აზნაურების წინამძღოლს მიმართა დგომლობით, რაც შეიძლება ჩქარა შემ საერობო დაწესებულებანიო.

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსა

9 აპრილი

გუნჩულინი, 8 აპრილი. ჩვენმა ერთი ადგილიდან მეორეზე ვადას დაზვერვის დროს, გამოარკვია, თუ რაა დაბანაკებული იაპონიის ჯარი მარცხენა ფრთის წინააღმდეგ. იმა —ტიაუანტოო—ფუფანლოუს გზა რაც იმათუკანა მხარის გლეხებმა

მთელი [illegible] ჯაფაში ვატარებთ ჩვე უნდა [illegible] ერას, თავ-აუღებლივ ოფლსა ზე [illegible] იდავად ამისა, არამცთუ ვერ ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა, და უფრო ვლატაკდებით, ვებრძვდებ დესაც ჩვენი შრომით სხვანი ფარფ

ფრო ჰგრძნობდა ყველა, რომ ამ თვითმმართველობასთან საჭირო იყო კოლონიების შეერთება და შეთანხმება. ჯერ კიდევ 1849 წ. დაარსდა ლიგა, რომლის კრებებზე არა ერთხელ ყო აღძრული კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეერთებულიყვნენ კანადის პროვინციები და შეედგინათ ფედერაცია. რამდენიმე ხნის შემდეგ ფედერაციაზე დაიწყეს ლაპარაკი უკვე კოლონიების პარლამენტებმაც, პირველად გამოსთქვა ამის შესახებ თავისი აზრი ახალი შოტლანდიის პარლამენტმა, რომელმაც 1854 წ. მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „შეერთება ანუ ფედერაცია ინგლისის კოლონიებისა ამერიკაში უფრო მჭიდროდ დაუკავშირებს მათ მეტროპოლიას (ინგლისს) და ამავე დროს ხელს შეუწყობს მათ პროგრესს და ქონებრივ კეთილ-დღეობას, გააძლიერებს მათ ღონეს და გავლენას, აგრეთვე ავტორიტეტსაც (ბრიტანიის იმპერიაში).“ ამ დღიდან დაწყებული ფედერალური მოძრაობა გაიზარდა, გავრცელდა და მოედვა მთელს კანადას: ყველგან იმართებოდა მიტინგები და კრებები ფედერაციის სასარგებლოდ, ფედერაცია შეტანილ იქნა პოლიტიკურ პარტიების ოფიციალურ პროგრამებში.

1864 წელს კანადელები სიტყვიდან გადავიდნენ საქმეზე და შეუდგნენ ფედერაციის განხორციელებას. ამ წელს კვებეკში შეიკრიბნენ კანადის კოლონიების დელეგატები; კრებას დაესწრო 30 გამოჩენილი კანადელი მოღვაწე. კრების შესახებ კანადის ისტორიკოსი ბუინო სწერს: „არასოდეს არ შეკრებილა კვებეკში სათათბიროდ ამდენი შესანიშნავი ადამიანი, რომელნიც ასე მომზადებულნი ყოფილიყვნენ დიდი საქმის—კანადის გაერთიანებისათვის. საფრანგეთის პიონერთა ჩამომავალნი, შვილები და შვილიშვილები ამერიკელ ლოიალისტებისა (ლოიალისტები იყვნენ ისინი, რომელთაც შტატების აჯანყების დროს არ უღალატეს ინგლისის მთავრობას და შტატების გამარჯვების შემდეგ გადასახლდნენ კანადაში), მჭევრმეტყველი ირლანდიელები, დაკვირვებული შოტლანდიელები, ადამიანები, რომელთაც კარგად იცოდნენ კანადის საჭიროებანი, შეიკრიბნენ კვებეკში უდიდესი და უსაჭიროესი საკითხის გადასაწყვეტად“. კვებეკის კონვენტის (კრების) წევრები გამოგზავნილნი იყვნენ კოლონიების სამინისტროებისაგან, მაგრამ ისინი გამოხატავდნენ საერთო სურვილს და მისწრაფებას, მთელს კანადას უნდოდა შეერთება და ფედერაცია. კონვენტის სხდომები გაგრძელდა სამ კვირას და კანადის ფედერაციის პროექტი შეიმუშავა 72 რეზოლიუციის სახით. რეზოლიუციები შემდეგ წარედგინა ცალკე განსახილველად ყოველ კოლონიის პარლამენტს და ყველგან დამტკიცებულ იქნა დიდის ხმის უმეტესობით. ასეთი დამტკიცების შემდეგ კი პარლამენტებმა შესაფერის ადრესებით მიმართეს ინგლისის მთავრობას, რომ დაემტკიცებია ფედერაციის პროექტი. მეტროპოლიის მთავრობამ სთხოვა კოლონიებს დელეგატების გამოგზავნა ლონდონში ზოგიერთი განმარტების და ცნობის მისაღებად. 1876 წელს 17 თებერვალს ინგლისის კოლონიების მინისტრმა კანადის ფედერაციის პროექტი წარადგინა პარლამენტში, რომელმაც შეიტანა პროექტში მცირეოდენი ცვლილება და ცოტა ხნის კამათის შემდეგ დაამტკიცა. 29 მარტს დედოფალმა მოაწერა ხელი პროექტს და ამ დღიდან დაიწყო სულ ახალი ხანა კანადის ცხოვრებაში. საყურადღებოა, რომ თუმცა კანადა დამოკიდებულია ინგლისისაგან, კანადის უმაღლესი მთავრობა არის ლონდონში, მაგრამ კანადელებმა სრულიად დამოუკიდებლად შეიმუშავეს ფედერაციის პროექტი. კანადის პარლამენტებმა დამოუკიდებლად განიხილეს ფედერაცია, მიანდვეს მისი დაწვრილებითი შემუშავება დელეგატებს, მერე დაამტკიცეს და სრულებით არავის მიუღია მხედველობაში, თუ როგორ შეხედავდა ინგლისის მთავრობა კანადის ფედერაციას. ფედერაცია კანადელებისათვის იყო საჭირო და კანადის მოღვაწეებმაც ამის მიხედვით შეადგინეს და განიხილეს ფედერაციის პროექტი. ინგლისის მთავრობას წარუდგინეს პროექტი სანქციისათვის, დედოფალს მიმართეს „ადრესით“, მაგრამ ეს მიმართვა იყო ფორმალური და ინგლისის მთავრობის მონაწილეობა ფედერაციის პროექტის დამტკიცებაში იყო მხოლოდ ფორმალური. ეს კარგად ესმოდათ როგორც კანადის კოლონიებს, ისე თვითონ ინგლისის მთავრობასაც. კანადა ყველაზე უწინარეს კანადელებისათვის არსებობს და არა სხვის საკეთილდღეოდ და იარაღად. ამიტომ უეჭველია, კანადელების საქმეა იმის შემუშავება და დადგენა, თუ როგორი დამოკიდებულობა და კავშირი უნდა იყოს მათ შორის. ინგლისის მთავრობას კარგი ისტორიული გამოცდილება ჰქონდა იმის შესახებ, რომ მის წინააღმდეგობას ადვილად შეეძლო გამოეწვია სრული მოშორება კანადისა (როგორც ჩამოშორდა შეერთებული შტატები), ამისათვის თითქმის სრულიად ხელშეუხლებლად მიიღო კანადელების მიერ შემუშავებული ფედერაციის პროექტი.

თავდაპირველად ფედერაციას შეადგენდა ოთხი კოლონია: ქვემო და ზემო კანადა ისევ განშორდნენ ერთმანეთს და შეადგინეს ორი კოლონია—კვებეკი (ფრანგების კოლონია) და ონტარიო (ინგლისელების კოლონია); ამათ გარდა ფედერაციის წევრნი იყვნენ ბრუნსვიკი და ახალი შოტლანდია. 1870 წელს ფედერაციას შეუერთდნენ კოლონიები მანიტობა, რუპერტი და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიწა, 1871 წელს-ბრიტანიის კოლუმბია და 1873 წელს პრინც ედუარდის კუნძული.

ფედერაციის წესწყობილებაზე მოვილაპარაკებთ შემდეგ წერილში.

კალამი

(დასასრული იქნება)

---

*) ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურთა კრებაზე წარმოთქმული სიტყვები დაბეჭდილია—„ივერიის“ № 45 და „ცნობის ფურცლის“ 2791.

ბაჲ იაპონიისაგან ოფიციალური ცნობები მივიღეთ, ყველა ის ადგილები, რომელნიც ბაქაუდან დაწყებული—პესკადორის კუნძულებზეა—მეზობელ ზღვამდე მდებარეობენ, ომიანობის დროის დებულების ქვეშ არიან გამოცხადებულიო. ზღვის საპუქსირო ორთქლ-მავალი გემი—„როტერდამი“ სადამოჟეო პოლიციამ შეაჩერა ტემზაზე და გაჩხრიკა, რადგანაც ტვირთში ზარბაზნის ცარიელი ყუმბარები იპოვნეს, რომელნიც მანილლაში უნდა მიეტანათ და იქ დაეტოვებინათ. ამან ეჭვი შიატანინა პოლიციას გემზე.

ტოკიო. მივიღეთ წინასწარი პასუხი, გამოგზავნილი საფრანგეთისაგან, ბალტიის ესკადრის კამრანის ბუხტაში დგომის შესახებ. „პრინც გენრიხ“-ის მოწოდებულ ცნობებისამებრ, ესკადრის მთავარი ძალები, მათ რიცხვში ხუთი ჯავშნოსანიც, კამრანის შინაგან რეიდში დგანან. სხვა ცნობებით კი, რომელნიც სარწმუნონი არიან, რუსის ესკადრას კამრანში ნახშირს უდებენ და გემებს ასწორებს; მათი მზვერავი გემები ბუხტაში შესავალთან დგანან და კომერციულ გემებს აჩერებენ. ამ ჟამად რუსეთის ესკადრა უკვე ათავებს მზადებას სამხედრო მოქმედებისათვის, ასე რომ კამრანი, ფაქტიურად, რუსის ესკადრის ბაზად გადაიქცა.

ტოკიო. იუწყებიან საჰოსპიტლო დიდი გემი „ორიოლ“-ი საგონში იყოო. რუსის კრეისერ „დიან“-ის დაბალ მეზღვაურთა ერთი ნაწილი, რომელსაც იარაღი ჰქონდა აყრილი, „ორიოლ“-ზე გადავიდა ნაპირზე გადმოსულ ავადმყოფ მეზღვაურთ მაგიერ. თანახმად, პეკინში ადგილობრივ გუბერნატორისაგან მიღებულ დეპეშისა, ბალტიის ესკადრის ერთი ნაწილი ნახშირს უდებს კუნძულ ხაინანთან, ტონკიოს ბუხტის სამხრეთ-აღმოსავლეთით.—რუსეთის სამხედრო გემებს „ასკოლდ“-ს, „მანჯურ“-ს და „გროზოვოი“-ს, რომელნიც შანხაიში დგანან იარაღ აყრილნი, არამც თუ ღებავენ თეთრ საღებავით, არამედ ხელ-ახლა იარაღს ისხამენ და აპირობენ 10 აპრილს ზღვაში გავიდნენ, როდესაც წყალი ნაპირისაკენ იწყებს მოქცევას.

კანეია. ბრიტანიის კრეისერები „დიანა“ და „კენერა“ სუდის ბუხტაში მოვიდნენ.

ქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი**

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

რგის ბირჟა 8 აპრილს 1905 წ.

10 გირვ. ტ.	94,30
0 მარკაში	—
100 ფრანკში.	37,50
აზე ჩეკები.	94,90
აზე „	46,30
	$37{,}72\frac{1}{2}$
კონ	$5\frac{1}{2}$—$6\frac{3}{4}$%
ტა	$88\frac{3}{8}$
1902 წ.	—
03 წ.	—
4% გირ ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 მ. ბილ. 1864 წ.	375
5% მოგ. ბილ. 1866 წ.	290
5% ერც. სახ. სა.-მამ. ბან.	267
5 საკრ. საზოგ.	—
5 მავე საზოგად.	—
ბაქოს საკრ. საზოგ.	—
ერც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
ალ. ფურც. ამავე ბანკისა	—
ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
ავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ანთამშევისა და ამხ. აქცია	212

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

ᲙᲘᲝᲡᲙᲨᲘ

ლორის-მელვის ქუჩა, იქ ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

ბაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი- მ. ჯ. შვილისა—შოთმა ბაზნაზი.	— 10
ოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ნელდო, მოთხრობა—მელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1 50
II და III ტომი თითო	1 —
ი, ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	— 80
ალის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
ტრე—საბა სულხან ორბელია-	— 40
რეთლის I და II ტ. თითო	— 60
ასთავის I ტომი	— 60
ის წარსული დრო—ზოტტოსი	— 20
მანი—ვალტერ სკოტისა	— 55
ავარისა	— 30
სის შემოსვლა ტფილისში	— 10
ენება, პროფ. ბ. პეტრიაშვი-	1 50
ისივე	1 50
ითა და მახვილითა, რომანი —ჰენრიხ სენკევიჩისა	— 80
ასტურ-ლამა	— 20

ურაათები საქართ ... მუშებს აწვა კის ... ვის; 2 ს შუშაიყო შემაწ ... ფალთა და ბაღ ... 59 წ.): ... 25

ვიზიოლოგია—... მან: 1) საკ ... ობდა სხვა სამხ ... ენთი რაფფისა, ... (6 ს. 33 წ.) ... ელისა. რა-გი ... გვანგულოვისა ... ქალევის 3 ს. 50 ... რადაში, არც ... სამგზავრო № ... ისა. კიდევ ... დელოება, ... იქს

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ საზღვარ-გარეთიდან ეხლახან მივიღეთ აუარებელი საუკეთესო სისტემის

ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲔᲑᲘ

ყოველივე თავის მოწყობილებით.

ᲤᲐᲡᲘ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲞᲘᲠᲘᲐᲜᲘᲐ

ხელ-მოკლე მუშტრებს საკერავ მაშინებს ვაძლევთ ნისიადაც, რომელთაც შეუძლიანთ წვრილ-წვრილად გადაიხადონ მაშინის საფასური. სიონის ქ. მაისურაძის და ხოჯაფარუხოვის ქარვასლა.

(15—10) პატივის-ცემით გ. ა. ლაზარევი და ძმანი ჯუმუხაძეები.

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

ᲐᲕᲔᲯᲔᲣᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝᲨᲘ

(ნიხეილის ქუჩა № 97)

დღესასწაულების მოახლოებისა გამო დანიშნულია **ᲘᲐᲤᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ** ყოველ გვარ ავეჯეულობაზე გარდაწყვეტილი ფასია დადებული

მიიღება შემოკვეთილებაც როგორც ავეჯეულობათა, აგრეთვე საალმშენებლო საქმეებისაც **ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ** (ელისაბედის ქუჩა სახლი № 25). მაღაზიის გამგე ი. რუსიშვილი, ქარხნის გამგე- გ. ბერძენიშვილი გამგეობის თავმჯდომარე გრ. თოიძე. (8—4)

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲓ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ

ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

✦ ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲡ ✦

ვილებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვამზადებ ცუდ სუნს. გ. მ. ხოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (80—30)

ახალი წიგნი

Რ ᲜᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲨᲘᲜ?

ისტორიული წერილი იაკობ გოგებაშვილისა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. გაიგზავნა სხვა ქალაქებსა და დაბებშიაც. ფასი ერთი აბაზი. მთელ შემოსავალს წიგნისას, რომელიც მთელის გამოცემის გაყიდვის შემდეგ ოც თუმანამდე უნდა ავიდეს, ავტორი გაგზავნის გურიაში იქაური საჯარო ბიბლიოთეკების შესავსებლად საუკეთესო წიგნებით. (5—6.—4)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

სამ. ბ. თოფურიას

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

Ქ. ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ბ. კილაძის და გ. თავართქილაძის საუკეთესოდ მოწყობილი

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ

მარინსკი პროსპ. ტფილისის სავაჭრო ბანკის სახლში

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲝ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩ., იმავე ბანკის სახლში.

1. **სტამბა ღებულობს დასაბეჭდათ:** წიგნებს, ბლანკებს, აფიშებს, პრეის-კურანტებს, კანვერტებს, სადარბაზო ბარათებს და სხ. ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს: რუსულს, ქართულს, სომხურს და სხვ. ყველა ევროპიულ ენებზე.
2. **წიგნის და საკანცელარიო ნივთების საწყობში მოიპოვება:** ქართულ-რუსული წიგნები და კალენდრები, მრავალგვარი რვეულები, კანტორის წიგნები სხვა და სხვა ზომისა და ღირსების, წიგნის და ფოსტის ქაღალდები, როგორც რუსული, ისე საზღვარ-გარეთის; კანვერტები სავაჭრო და საკანცელარიო; ალბომები, ლენტები გარდაცვალებულთათვის; მხატვართათვის საჭირო იარაღები და სხვა ყოველგვარი სამწერლო და საკანცელარიო ნივთები და სხვ. (0—10)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲚᲝᲛᲡ ᲨᲣᲐ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲔᲢᲚᲘ ᲛᲘᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ

ᲓᲘᲚᲝᲛᲘᲓᲐᲜ ᲕᲔᲠᲐᲖᲔ: დილის 7 საათზედ ნაშუადღევის 3 საათ.

ᲕᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲘᲚᲝᲛᲡ: დილის 9 საათზედ საღამოს 5 საათზედ

მგზავრზედ 25 კაპეიკი.

პატარა მოსწავლეთათვის 15 კაპეიკი. (10—7)

ტფილისის აკეპარქიო **ᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ** გვერდით არის საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხანათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბავრაყები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლები, კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდელო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 სანეთამდის. სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (0—6)

თხზულება ნ. ნიკოლაძისა

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

ფასი-20კ. აქვე იყიდება დიდი სურათი

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡᲐ ფ. 50კ.

ტფილისი, წიგნის მაღაზია „ᲪᲝᲓᲜᲐ“.

(10—10)

„ᲪᲝᲓᲜᲐ“ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები. მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება კალენდრები—ჯიბისა 10 კ. კედლისა 40 კ. ერთბაშად ბევრის მყიდველებს ფას დაკლებით.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОНДНА“.

(წლ.). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲝ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲨᲘ (ტფილისი, მუშტაიდი) იყიდება

✦ ᲪᲔᲚᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲠᲔᲜᲐ ✦

(აბრეშუმის თესლი)

თეთრი და ყვითელი ჯიშისა—მისხალი 40 კაპ.; ჭიის გამოკვების, თესლის დამზადების, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის და საფეიქროსათვის საჭირო მანქანები და იარაღი, მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოები და კოლექციები.

ფუტკრის გაშენებისათვის საჭირო იარაღი და მანქანები: სკები, ხელოვნური ფიჭა, თაფლის საჭრავი, სხვა-და-სხვა სისტემის სკების გეგმები, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო საგნები. პრეისკურანტი უფასოდ (15—6.—7)

ᲓᲘᲓᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

კავკასიის **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡ** ძმ. აკოფჯანოვებისა და სარქისიანცისა. ნიკოლოზის ხიდი, სახლი ქამოევისა № 25-30.

რადგან დიდ-ძალი საქონელი შეიკრიბა—კაცთა, ქალთა და ბავშვთა დამზადებული ტანისამოსი,—ჩვენ გადავწყვიტეთ დავნიშნოთ სულ **ᲘᲐᲤᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ** 20 ჟლით 1 თებერვლიდან 20 თებერვლამდე. ფასები ქარხნისაზე ნაკლებია. ფასებში ულაპარაკოდ. (150—22)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ

ᲨᲔᲨᲘᲡᲐ

✦ პ. ი. ქურცხალიასი ✦

ანდრეევის ქუჩა, დამოენის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაჲენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

(90—32) გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

თუმცა პასკებს ბევრნი აცხობენ, მაგრამ ჯერ ბევრს არა აქვს შესწავლილი ნამდვილი ხელოვნება პასკების კარგად გამოცხობისა, რის გამოც მყიდველი ხშირად სტყუვდება; ამისათვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ᲐᲠ. ᲘᲕ. ᲐᲚᲘᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲜᲓᲘᲢᲔᲠᲝᲨᲘ

(ვარანცოვის ძეგლთან)

სააღდგომოდ მზადდება დიდძალი პასკები და კულიჩები.

ჩემს სახელოსნოში პასკები საუკეთესო მასალისაგან კეთდება და ყოველთვის საუკეთესო გემოვნება აქვს, რაშიაც პატივცემული საზოგადოება ძლიერ ადვილად დარწმუნდება. გთხოვთ არ დაუჯეროთ არავის: მარტო ჩემს საკანდიტეროში იშოვება ჩემი პასკები და არსად გასაყიდად არ ვაძლევ.

Дрожжевой заводъ К. ШУРЪ.

პატივისცემით **ᲐᲠ. ᲘᲕ. ᲐᲚᲘᲮᲐᲜᲝᲕᲘ.**

ტელეფონი № 276. (2—1)

ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ᲢᲧᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ

რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ

„ᲚᲔᲝᲞᲝᲚᲓ ᲜᲔᲘᲨᲔᲚᲚᲔᲠ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევანის მოედანი. (60—6.—15)

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ

КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

Необходимы для домашняго употребленія. Образцовы въ конструкціи и исполненіи. Продаются только въ магаз. Комп. Зингеръ.

Отпускъ машинъ съ платежемъ **отъ 1 рубля въ недѣлю.**

Безплатное обученіе шитью и моднымъ художественнымъ вышивкамъ.

Остерегайтесь поддѣлокъ!

Ручныя машины съ высокимъ рукавомъ во всѣхъ нашихъ магазинахъ отъ 25 руб.

Болѣе 1200 собственныхъ магазиновъ по всей Россіи!

Магазинная вывѣска. Рисунокъ утв. Отд. пром. и торг. М. Фин.

фабричное клеймо которымъ снабжены машины.

ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲔᲑᲘ **ᲖᲘᲜᲒᲔᲠᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡᲐ**

იყიდება მხოლოდ ამხანაგობის საკუთარ მაღაზიებში. ამხანაგობას 1200-ზე მეტი მაღაზია აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში. მაღაზიები გაიგება ზედწარწერით, რომელზედაც გამოხატულია ასო „ზ“ დამტკიცებულია ფინანსთა სამინისტროს სამრეწ. და სავაჭრო განყოფილების მიერ. გაუფრთხილდით, არ მოგატყუონ; ყიდვა მაშინისა შეიძლება ნისიად და ფულის ნაწილ-ნაწილ შემოტანით, თო მანეთიდან (25—